


მრავალმხრივი
მოდენისტი,
დიდებული
მამულიშვილი

რ. ჭანიშვილი, თ. ალავიძე



რთები
სალუმეა

100




დაიგებდა ფონდ ქართული გამოწვევის
მხარდაჭერით



გამოიცა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო
ცენტრის ხელშეწყობით



მომზადება საქართველოს ქორეოგრაფიული მუზეუმის
შემოქმედებითი კავშირის მიერ



რ.ჭანიშვილი, ო.ალავიძე

მრავალმხრივი მოღვაწე, დიდებული მამულიშვილი

გიორგი სალუქაძე

1913-2013

თბილისი
2014

შესავალი

გურიის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ ცხემლის ხიდში, რომელიც ქ. ოზურგეთიდან ხუთი კილომეტრითაა დაშორებული, არსებობს მართლაც გამორჩეული კარ-მიდამო, გათლილ ქვის ბოძებზე შემდგარი, კრამიტით დახურული ოდა-სახლით, სწორედ ისეთით, როგორსაც მე-19 საუკუნის დასასწაულის ში აგებდნენ გურიაში შეძლებული ოჯახები; ეს არის გიორგი სალუქეაძის მამა-პაპური კარ-მიდამო, რომელიც დღესაც მნახველთა დიდ ყურადღებას იპყრობს. წარმოიდგინეთ ხავსმოკიდებული რიყის ქვის ყორე კოხტა მესრით, რომელიც ეზოს წინა მხრიდან უვლის; თალოვანი ჭიშკარი, რომლითაც ვრცელ,

მნვანედ აბიბინებულ „წინაეზოში“ შეხვალთ, ხელმარჯვნივ ჭა ჩანს ონინარით და მთლიანი ქვის გვიმით. ღობეს თავს დასცექერის რტოებ-გაშლილი „სამორავი ხეები“ - რცხილა დაიფნა. ეზოს სილრმეში ნაყოფით დახურძლული ხე-ხილია. თავისუფალ კუთხესთან, წყავის ქვეშ, სტუმრებს დინჯად ელოდება ფაქიზად ნაკვეთი ქვის მრგვალი მაგიდა. ეზოს სილრმეში ერთსართულიანი ნაბლის ოდა დგას, რომელსაც ფართო აივანი ამშვენებს თავისი ნახარატევი მოაჯირით, ნაჩუქურთმევი სვეტის თავებითა და კამარებით. აივანს თითქოს შეზრდილა, თლილი ქვის კიბე.



საქონლის საზამთრო ბინა, წნული და „ალიზა“ მინით შეღესილი. თუ კიდევ ბილიკს გაჰყვებით, ხეხილის ბალს და მაღლარ ვენახს გაიკლით, მდინარის ხმას გაიგონებთ და თხმელნარებში წყლის წისქვილს იხილავთ.

გიორგი სალუქვაძის კარ-მიდამოს მშვენება არის ოდასახლის წინ, ეზოს შუაგულში აღმართული უზარმაზარი, საუკუნოვანი ცაცხვის ხე, რომელიც რიტმულად შრიალებს და თითქოს ხელგაშლილი, გულლია მასპინძელივით ეგებება სტუმრებს. მწვანე ხასხასა მიხდორზე ძვირ-

ფასი თვლებივით გაბნეულია დილის ცერით გაბრნყინებული გაზაფხულის ულამაზე ის ყვავილები. ყველაფერი ისეა, როგორც თავად გიორგი სალუქვაძის ერთ-ერთ ლექსშია აღნერილი:

ლამე ცვარ-ნამმა ობოლმა
ვარდის კოკორზე ათია,
ცისკარის შოლოდინშია
ცემუტავდა ათინათია.
რიურაუზე ოქროდდა იფრქვა
მზის სწივით განახათია.



სახლი სოფ. ცხემლისხიდში, სადაც 1913 წლის, 27 ივნის დაიბადა გ. სალუქვაძე

ბავშვობა, მშობლები, წინაპრები და სკოლა

1913-1928 წლები



გიორგი
1 წლისასაკში
1914 წელი

გიორგი სალუქვაძე დაიბადა 1913 წლის 27 ივნისს გურიაში ოზურგეთის მაზრის დუაბზუს თემის სოფელ უჩხუბში (დღევანდელი სოფ. ცხემლისხიდი). ისაკ სალუქვაძისა და ოლინკა თოიძის თვალში.

პატარა გიორგის ბავშვობიდან დაჰყვა მუსიკის სიყვარული, იგითავის წკრიალა ხმას შეწყობილა დ უერთებდა დედის ტკბილ ხმას, რომელიც ჩინებულა დ უკრავდა ჩონგურზე. მის ოჯახში ხშირად მოისმენდით და ნახავდით მშობლებისა და მეზობლების მეტად შეწყობილ ქართულ ხალხურ სიმღერებსა და სხვადასხვა ხასიათის გამომსახველ ცეკვებს. მათთან ერთად პატარა გიორგიც დიდი გატაცებით მღეროდა და ცეკვავდა. მან მუსიკალობა და ცეკვისადმი სიყვარული ყრმობიდანვე გამოამჟღავნა.

გიორგი სალუქვაძის, ბაბუასეული წაბლის დიდი სახლის ვრცელ დარბაზში მისი წინაპრებისა და მშობლების სურათების გვერდით ზეთოვანი საღებავით შესრულებული დიდი სურათი კიდია, საღაც ჩაქურაში გამოწყობილი, ყაბალახთავდახურული პატარა ბიჭუნა

არის გამოსახული, მხარზე თოფით, ხელში რევოლვერით, ეს ბავშვი ოვით, წლინახევრის გიორგია. გიორგის დედის, ოლინკა თოიძის ნაამბობიდან ვგებულობთ, რომ „1915 წლის მარტი იყო. იმ დროს ჩვენ რუსეთში ქ. გიორგიევსკში ვცხოვრობდით. ჩემი მეუღლე ისაკი ჩრდილო კავკასიის (გიორგიევსკის, პიატიგორსკის, ულეზნოვოდსკის, კისლოვოდსკის, ესენტუკის) სარკინიგზზო დარგის კვების სისტემაში მსახურობდა. ჩვენი გიორგი წლინახევრისა იყო, მამამისი გიორგის სულ პატარაობიდან წვრთნიდა ეროვნული ტანსაცმლის ტარებასა და ქართული ჩვევების ათვისებაში, მას შეუკერა გურული ჩაქუჩა თავისი წულამესტებით, შეუძინა სათამაშო თოფი, და რევოლვერი. ასე „მოკაზმული“ დაბაჯბაჯებდა იგი ხანდახან გიორგიევსკის სადგურის ბაქანზე. ერთხელ თურმე ასეთი მორიგი „სეირნობისას“ ბაქანზე ჩამოდგა პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918 წნ) გერმანიის ფრონტზე მიმავალი, ჯარისკაცებით დატვირთული სამხედრო ეშელონი,



მამა - ისაკი სალუქვაძე



დედა - ოლინკა თოიძე

რომელთაშორის 4გურული ბიჭი აღმოჩნდა. იმ დროს საქართველოდან რუსეთში მატარებელი ბაქოს გავლით მიდიოდა და, რადგან ორთქმავალს შეშაზეა მუშავებდნენ, ნატანებიდან გიორგიევსკამდე ჩასვლას ათი დღე-ლამე მაინც სჭირდებოდა. ეშელონის ჯარისკაცებს ალბათ ეგონათ, რომ სამშობლოდან ძალიან შორს იმყოფებოდნენ და ამ სიტუაციაში ჩაქურიანი ბიჭუნას ნახვა მოულოდნელი სიურპრიზი იყო მათვის, გადმოხტნენ ვაგონიდან, დაეხვივნენ პატარა გიორგის და დაუწყეს ბავშვს ალერსი. ყველას ალბათ თავიანთი, თუდა-ძმათა შვილები ნარმოუდგათ თვალნინ. მე ბავშვთან მივედი, შემომეხვივნენ, გამეცნენ, დიდად გაიხარეს, როცა გაიგეს, რომ ჩვენც გურიიდან ვიყავით. მეულლე ამ დროს სახლში არ იყო, კაცი ვაფრინეთ მასთან, ვაცნობეთ ჩვენებურების გამოჩენის შესახებ. იგი იმ დროს მოვიდა, როდესაც მატარებლის შემადგენლობა დაიძრა და ფრონტისკენ გაუდგა გზას, ისაკმა მოახერხა ბოლო ვაგონზე შეხსომა და მათი გაყოლა. ორი დღე-ლამის შემდეგ კი ჩვენებურ ბიჭებთან ერთად დაბრუნდა. როგორც გამოირკვა, ისინი დიდი




გ. სალუქვაძე
1,5 წლის ასაკში.
სურათი გადაღებულია
ქ-გეორგიევსკში 1915 წ. ნელს

დანახარჯის საფასურად დაუბრუნებია ეშელონიდან. სამ დღეს დარჩნენ ჩვენთან. ისაკს მოუხერხებია ყველასათვის „თეთრი ბილეთები“ მიეცათ, ე.ი. გაეთავისუფლებინათ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან და ცოლშვილისათვის ნაყიდი „ჩეჩიტებითა“ და საგზლით მიუცილებია მატარებლამდე, აულია მათთვის რკინიგზის ბილეთები და გამოუმგზავრებია სახლისაკენ“, დაუსრულებია თხრობა ქ-ნოლინკა თოიძეს.

ამ ეპიზოდის მშვენიერი დასასრულის შესახებ გიორგის ჩანანერებში ვკითხულობთ: 1942 წლის მარტში, როგორც მეთაური, სპეციალური დავალებით მოვლინებული ვიყავი ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში, უკან დაბრუნებისას ერთი დღით სახლში (უჩხუბში) გამოვიარე. ჩემი მოსვლა მოულოდნელი იყო, ყველა დამხვდურს გაუხარდა, მეზობლებიც გადმოვიდნენ, მეკითხებოდნენ სამხედროში მყოფი თავისიანების შესახებ. სახელდახელო სუფრაზე, როცა მამაჩემმა მეზობლების სადღეგრძელო ნარმოთქვა, შესავლად შემდეგი ამბავი მოყვა: -როგორც იცით მუშახელის ნაკლებობის გამშარშან მოსავლის ალება გაგვიძნელდა, გვიანამდე ვერ მოვათავეთ შავი ზღვისპირა „ჩალინის“ სიმინდის ყანების აღება, შემდეგ მე კიდევ მომინია იქ დარჩენა საქონლის საკვები „ნაგერაის“ ძებნის გამო. ერთ ნოემბრის სალამოს მოვიდა კოკისპირული ნვიმა, რომელიც შეღამებისას თავსხმად გადაიქცა. ღვარი შემოვიდა იმ ნალის ქვეშ სადაც მე ვიმყოფებოდი, ნალიას სიმინდის დასაყრელი ჭერი არ ჰქონია, რომ მალლა ავსულვიყავი. სხვა გზა არ მქონდა, ავიკარი გუდანაბადი და შორს, ბნელში რომ მოსჩანდა, იმ სინათლის წერტილისაკენ დავიძარი. ტლაპოში ხშირად მუხლებამდე ვეფლობოდი. როგორც იქნა სინათლიან ადგილს მივაღწიე, იგი მომალლო,

ლური სურათი დღესაც ამშვენებს გიორგი სა-
ლუქვაძის სახლის დარბაზს.

მიუხედავად იმისა, რომ ისაკს მცირე
კლასიკური განათლება ჰქონდა მიღებული, იგი
დიდი მნიგნობარი კაცი იყო. თბილისიდან
ჩრდილო კავკასიაში გადასულმა ისაკმა, რომე-
ლიც კარგად მოეწყო, გარს შემოიკრიბა საქარ-
თველოს სხვადასხვა კუთხის ქართველები,



მარცხნიდან გიორგის ბაბუა გიორგი, მამა ისაკი და ბიძა
შოთა სალუქვაძეები

განსაკუთრებით რაჭელები და ლეჩხუმლები,
რომლებიც ტერიტორიული სიახლოვის გამო
მრავლად იმყოფებოდნენ იქ. მას კარგი შემოსა-
ვალი ჰქონდა, თუმცა ზოგიერთი იმდროინდელი
პიროვნებისაგან განსხვავებით, შემოსავლის
აბსოლიტურ უმრავლესობას საქველმოქმედო
საქმეებს სწირავდა.

ისაკს ჩრდილო კავკასიაში თან ჰყავდა წა-
ყვანილი რამდენიმე მეზობელი, ახალგაზრდა,
რომლებსაც არ აკლებდა ყოველდღიურ მზრუნ-
ველობასა და კონტროლს მუშაობაში. მეულ-
ლის, ოლინკას, გადმოცემით მან 1914-1915 წლე-
ბში ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედის
ორკლასიანი სასწავლებლის მშენებლობაზე
თავის სახელზე გამოაგზავნა 50 ცალი ოქროს
თუმნიანი, 25 კი - მეულლის, ოლინკას სახელზე.

თავის, პაპების, მშობლებისა და უახლო-
ესთა ამალაში მოქცეული გიორგი პატარაო-
ბიდანვე ითვისებდა მათ დამახასიათებელ ჩვე-
ვებს, ცდილობდა გადმოელო ისინი, რაშიც მას
ისიც უწყობდა ხელს, რომ, როცა მცირენლოვან
გიორგის თავის ასაკის შესაძლებლობაზე უფრო
რთულ დავალებას მისცემდნენ, მის შესრულე-
ბას არავინ გაიკვირვებდა, პირიქით, აგრძნობი-
ნებდნენ მას, რომ უფრო მეტის გაკეთება შეეძ-
ლო.

გიორგი იგონებს: „სკოლაში ჯერ არც კი
დამეწყო სიარული, როცა სადურგლო იარა-
ლების - ხერხის, ჩაქუჩის, ლურსმისა და შალა-
შინის მოხმარების ნებართვა მომცეს. შვიდი
ნლის ვიყავი, როცა მამაჩემმა ისაკმა მეზო-
ბელს, ჩვენი სოფლის მჭედელს, თომა ლომინა-
ძეს სთხოვა - მე და ამ კაცს თითო კარგი თოხი
გაგვიკეთო. მჭედელმა უთხრა ხვალ იქნებაო
მზად. იმ ლამეს დამესიზმრა, მჭედელს გაეჭედა
ორი ვებერთელა თოხი, მეორე დღეს დილით
მამამ კვლავ წამიყვანა მჭედელთან. ჩემს სიხა-

ინდუსტრიული ტექნიკურის საცდენტი

1928-1933 წლები



გ.სალუქვაძე ბათუმის ინდუსტრიული
ტექნიკუმის III კურსის სტუდენტი
1931 წლის ნოემბერი

შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ გ. სალუქვაძემ სწავლა განაგრძო ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. სწავლის პერიოდში იგი გაერთიანებული იყო ტექნიკუმის მომლერალთა გუნდში, სადაც მხოლოდ ხალხურ სიმღერებს ასწავლიდნენ:

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ერთი



გ.სალუქვაძე ბათუმის ინდუსტრიული

ტექნიკუმის დამთავრებისას

1932 წ.

წელი მუშაობდა აჭარის წყლის პიდროელექტრო სადგურის მშენებლობაზე ტექნიკოს-მექანიკოსად, სამსახურიდან თავისუფალ დროს კი დიდი ინტერესით ეცნობოდა ადგილობრივ აჭარელთა კილოებსა და ადათ-წესებს, ყოფა-ცხოვრებას, პოეტურ, მუსიკალურ თუ ქორეოგრაფიულ ფოლკლორს.



საცდენტობის პერიოდი

1933-1939 წლები

თბილისში საკონკურსო გამოცდების ჩაბარების შემდეგ გიორგი ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა; ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ტექნიკური ხაზვისა და მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგეს, დოცენტ ჭ. გუნიას მის მიერ ტუშით შესრულებული ნახაზები იმდენად მოენიშნა, რომ ხაზვის გაკვეთილებიდან გაათავისუფლა, ეს საგანი წინასწარ ჩაუთვალა და იქვე კათედრაზე პრეპარატორის თანამდებობა შესთავაზა. გიორგი ინსტიტუტის პირველ კურსიდან სხვა სტუდენტებთან ერთად სწავლობდა და ხაზვის გაკვეთილებზე კი მათ ხაზვაში ავარჯიშებდა, რასაკვირველია, საბოლოო ნიშანი წლის ბოლოს საგნის ხელმძღვანელს გამოჰყავდა.

გიორგის თბილისში რამდენიმე ნათესავი და მოკეთე ჰყავდა, თუმცა არავინ შეუწუხებია: „რატომ უნდა დავურლვიო მათ თავიანთი მყუდრო ცხოვრებაო“, ამიტომ ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში მოენყო არსენალის მთაზე, და საკუთარ თავზე გამოსცადა ხელმოკლე სტუდენტთა ცხოვრებისეული სიძნელეები.

ინსტიტუტს ძალზე მდიდარი ტექნიკური ბიბლიოთეკა გააჩნდა, რომელიც საჭირო ლიტერატურით უხვად ამარავებდა სწავლა მოწყურებულ სტუდენტობას, გარდა ლექტორის მიერ მითითებული წიგნისა, გიორგის ამ საგანზე ბიბლიოთეკაში არსებული სხვა ავტორთა წიგნებიც გამოჰქონდა, ნაშრომებს ერთმანეთს ადარებდა და საკვანძო საკითხებს ცალკე ინიშნავდა.

სწორედ, რომ მისაბაძი და სანიმუშო ჩვევა ჰქონდა სტუდენტობის დროს გიორგის - იგი სწრაფ წერაში იმდენად იყო გაწაფული, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებზე, რომლებიც ხშირად 7-8 აკადემიურ საათს გრძელ-

დებოდა, ასწრებდა 15-20 გვერდის ჩანერა-ჩანიშვნას. რამდენადაც მას დღევანდელი სამუშაოს ხვალისათვის გადადება არ უყვარდა, ინსტიტუტიდან დაბრუნების შემდეგ ჩაუჯდებოდა იმ დღევანდელი ლექციის შესწავლას, ერთი და იმავე საკითხის გასარკვევად სხვადასხვა წიგნებს მოიშველიებდა, გაეცნობოდა ვინ როგორ აშუქებდა დღევანდელი ლექციების ჩანაწერს და შეუდგებოდა ყველასათვის გასაგები ენით კონსპექტის შედგენას მელნით, საწერ-კალმით, სახაზავისა და „გატავანიის“ გამოყენებით. ამიტომაც იყო „სხვისი იმედით მყოფი“ თანაკურსელი სტუდენტები გამოცდებისა თუ ჩათვლების მოახლოებისას გიორგის მიმართავდნენ: „შენი კონსპექტის „ოჩერედში“ ჩაგვაყენეო - და ხელიდან ხელში გადასცემდნენ მას.



გ. სალუქევაძე ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის
| კურსის სტუდენტი 1934 წ.

როდესაც გიორგი თავად ემზადებოდა სე-სიის ჩაბარებისა თუ საგნების ჩათვლისათვის, დაუზარებლად ეხმარებოდა შედარებით ჩამო-რჩენილ სტუდენტებს - გამოცდების დაწყე-ბამდე რამდენიმე დღით ადრე შეკრავდა თანა-კურსელი ამხანაგების მცირე ჯგუფს, მოინ-ვედა თავის ოთახში, რომელსაც ამჟამად სას-ნავლო აუდიტორიის სახე უფრო პქონდა ტაბუ-რეტ სკამებზე დადგმული საწერი დაფით, ცარ-ცით, კონსპექტებით, დამთელი პროგრამის კვა-ლდა კვალ თანმიმდევრობით გაიმეორებდნენ განვლილ მასალას, მაგრამ ამჯერად არა წიგნე-ბიდან, არამედ გიორგისეული „გენერალური კონსპექტიდან“. ერთი-ორი საათის შემდეგ, მოაწყობდნენ ე.ნ. „კულტურულ შესვენებას“, მთელი ჯგუფის მონანილეობით იმღერებდნენ, დაუკრავდნენ ხალხურ ინსტრუმენტებზე, ისადილებდნენ და ახალი ენერგიით შეუდგე-ბოდნენ მეცადინეობას. მთელი დღე შეუმჩნევ-ლად ჩაივლიდა, მეცადინეობაც ნაყოფირი იყო და საუკეთესო შედეგსაც იძლეოდა, ჯგუფში მყოფ სტუდენტთა უმრავლესობა მაღალ წიგ-ნებს იღებდა.

სხვადასხვა წიგნებით, კონსპექტებით და უურნალ-გაზეთებით სავსე სამუშაო მაგიდის მახლობლად გიორგის კედელზე მიჯვრით ეკიდა ჩონგური, ფანდური, დოლი, სალამური, რომე-ბზედაც ვარჯიშობდნენ და თავს ირთობდნენ ის და მისი მეგობრები, სტუდენტები.

ერთხელ საერთო საცხოვრებელში სტუ-დენტთა საყოფაცხოვრებო პირობების შესა-მონმებლად კომისიამ ჩამოიარა. დაინტერეს-დნენ ხალხური საკრავების მფლობელით, მაგ-რამ გიორგი სახლში არ აღმოჩნდა. ამხანაგებმა მის შესახებ ზოგიერთი ცნობა მიაწოდეს და ჩაანერინეს. ერთი კვირის შემდეგ გიორგი გამო-იძახეს ინსტიტუტის კლუბის გამგესთან, ალექ-

სანდრე ავალიანთან, რომელმაც ინსტიტუტის პროფესიონალის თავმჯდომარესა და კომკავშირის მდივანთან ერთად გიორგის შესთავაზა ენერგე-ტიკული ფაკულტეტის სტუდენტთაგან თვით-მოქმედი კოლექტივი ჩამოყალიბება.

მან შემოიკრიბა თანაკურსელი სტუდენ-ტები და ჩამოაყალიბა მეჩინგურეთა და მოცე-კვავეთა ორი მცირე ჯგუფი. ეს იყო 1934 წელს.

1935 წელს ინსტიტუტში ქორეოგრაფი-ული ნრის ხელმძღვანელად მოინვიეს ქართული ხალხური ცეკვის ოსტატი, შემდგომში საქართ-ველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჯანობაგრატიონი.

პქონდა რა გიორგის ცეკვისადმი დიდი ინტერესი, ის დაუყონებლივ გაეცნობ-ნ ჯანოს, ჩაენერა მასთან ქორეოგრაფიულ ნრეში და გან-საკუთრებული მონდომებითა და სიყვარულით შეუდგა გადმოცემული ქორეოგრაფიული ილეთების შესწავლას რითაც თვალნათლივ გა-



პირველ რიგში მარცხნიდან: გიორგი სალუქვაძე,

ავთანდილ თათარაძე.

მეორე რიგში : გრამიტონ გოგუა, ალექსანდრე შვანგირაძე
და ხარიტონ კვაჭანტირაძე. 1937 წ.

მოირჩეოდა წრის სხვა წევრებისაგან. გიორგი შემდგომ ჯანოს განუყრელ მეგობრად დარჩა, მუდამ პატივისცემით იგონებდა მას და თავის ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებლად თვლიდა.

მეორე კურსზე სწავლისას საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტში ჩამოაყალიბა მოძღვალური - მეჩინგურეთა „სამეული“ და „ხორუმის“ შემსრულებელ მოცეკვავეთა „ხუთეული“. „სამეულში“ შედიოდნენ ნ. კვაჭანტირაძე (შემდგომში დამსახურებული ინჟინერი), გ. გოგუა და გ. სალუქვაძე, „ხუთეულში“ კი მათ ემატებოდათ ა. თათარაძე (შემდეგ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) და ა. შვანგირაძე. ორივე ჯგუფს ხელმძღვანელობდა გ. სალუქვაძე.

გიორგის მიერ ინსტიტუტში ჩამოყალიბებული ჯგუფები იღებდნენ გამოდგა. მაგალითად 1936 წელს მეჩინგურეთა „ტრიომ“ მონანილეობა მიიღო ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა ოლიმპიადაზე, სადაც შესრულდა მისივე შექმნილი სიმღერა სტალინზე ტექსტის ავტორი - (ქართველი მწერალთა ჯგუფი), რომლის შესრულებისათვის ტრიოს მიენიჭა II პრემია. შემდგომში აღნიშნული სიმღერა ლოტბარმა აქვსენტი მეგრელიძემ გადაიტანა დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, მას მიუმატეს მეორე ნახევარი, გაძლიერდა ფინალი და ამ სიმღერით გაიხსნა საქართველოს მხატვრული შემოქმედების დეკადა 1937 წლის თებერვალში ქალაქ მოსკოვში. სწორედ ამ წელს გამართულ საქართველოს ხალხური თვითშემოქმედების მეოთხე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტის სტუდენტთა მოცეკვავე ჯგუფს გ. სალუქვაძის ხელმძღვანელობით ცეკვა „ხორუმის“ საუკეთესო შესრულებისათვის პირველი ადგილი მიენიჭა და ფულადი ჯილდო 1250 მანეთი

გადაეცა. არსებობს ამ ცეკვის კინოფირი, რომლის ასლიც ბ-ნმა ა. ერქომაიშვილმა გიორგის ოჯახს გადასცა.



ცეკვა „სოხუმი“ ასრულებენ (მარცხნიდან) გ. სალუქვაძე გრამიტონ გოგუა, ავთანდილ თათარაძე, ხარიტონ კვაჭანტირაძე, ალექსანდრე შვანგირაძე. 1937 წ.

ამ ოლიმპიადის შემდეგ მეოთხე კურსის სტუდენტი გ. სალუქვაძე მიინვიეს დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ცეკვების დამდგმელად. ანსამბლს ხელმძღვანელობდა ცნობილი ლოტბარი და ხელოვანი კირილე პაჭკორია. პარალელურად გიორგი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მოცეკვავეთა წრესაც ხელმძღვანელობდა.

1937 წელს გ. სალუქვაძე სოლისტ-მოცეკვავედ ჩაირიცხა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე ჯანო ბაგრატიონი, მოღერალთა გუნდს კი - ცნობილი ხელოვანი გრიგოლ კოკელაძე.

ამ ანსამბლში ცეკვის გარდა გ.სალუქვაძე უკრავდა ჩონგურზე, ფანდურზე, სალამურზე. მასთან ერთად სახელმწიფო ანსამბლში, როგორც მოცეკვავე და მომღერალი, ჩაირიცხა მე-9 კლასის მოსწავლე, შემდეგში მისი მეუღლე, ქალბატონი თამარ ფარცვანია.



ინდუსტრიულ ინსტიტუტში ყოფნის პერიოდში, თავისი ინსტიტუტის გარდა, ხელმძღვანელობდა სამასწავლებლო ორნლიანი ინსტიტუტის, მიასანიკოვის სახელობის კლუბის, სახელმწიფო უშიშროების დაა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ქორეოგრაფიულ ნრეებს.

1938 წელს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მოცეკვავეთა ჯგუფმა გიორგის ხელმძღვანელობით საქართველოს ხალხური შემოქმედების V რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე



საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფი. შუაში ჯანო ბაგრატიონი, მესამე რიგში მარცხნიდან მეორე გიორგი სალუქვაძე, მეორე რიგში მარჯვნიდან მესამე თამარ ფარცვანია. 1937 წ.

დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ანსამბლის ხელმძღვანელი კირილე პაჭკორია. სურათზე, პირველ რიგში მარცხნიდან მესამე გიორგი სალუქვაძე, მეორე რიგში მარცხნიდან მეორე თამარ ფარცვანია. 1937 წელი

მეორე ადგილი მოიპოვა და ხალხური შემოქმედების სახლმა მონოგრამიანი სახელობითი სათუ-
თუნეთი და აჯილდოვა.

იმ დროს საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები
საწარმოო პრაქტიკას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გადიოდნენ. 1937 წელს ენე-



საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი.

ცენტრში მარცხნიდან: აქვსენტი მეგრელიძე,, გრიგოლ კოკელაძე,
კირილე პაჭკორია და ჯანო ბაგრატიონი.

სურათზე მარჯვნიდან პირველ რიგში, პირველი გ. სალუქვაძე.

მესამე რიგში მეოთხე თამარ ფარცვანია. 1940 წელი

რგეტიკული ფაკულტეტის 32 სტუდენტი, მათ შორის გიორგიც, საწარმოო პრაქტიკის გასავლელად
ლენინგრადის ქარხნებში „ელექტრო სილასა“ და „კრასნი პუტილოვეცში“ მიავლინეს. აი, რას
ვკითხულობთ გ. სალუქვაძის იმ დროინდელ ჩანაწერებში: ჩვენი სტუდენტები დიდი პასუხის-
მგებლობით მოეკიდნენ საწარმოო პრაქტიკას. ისინი მუშაობდნენ ქარხნის მიერ გამოსაშვებ 10,000-
კილოვატიანი სიმძლავრის გიგანტური ტურბოგენერატორის დამონტაჟებაზე, არ ერიდებოდნენ არც
ერთი სახის სამუშაოს შესრულებას, რითაც მთელი ქარხნის 15-ათასიანი კოლექტივის ყურადღება და
პატივისცემა დაიმსახურეს.

როგორც იქაურებს სჩვევიათ - იგონებს გსალუქვაძე-უქმე დღეებში ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურენი კოლექტიურად ისვენებენ ქალაქებარეთისეთ ცნობილ აგარაკებზე, როგორიც არის „ცარსკოე სელო“, „გატჩინო“, „პუშკინსკოე“, „პეტერგოფი“ და სხვა. ამ კოლექტიურ დასვენებაში „ელექტრო სილას“ და „კრასნი პუტილოვეცის“ მშრომელებიც დებულობდნენ მონანილეობას, რომელთათვისაც ქართველი სტუდენტები კონცერტებს მართავდნენ, კერძოდ, „ელეგინის“ კულტურისა და დასვენების პარკში, ლადოგის ტბაზე, „მონპლეზირში“ და სხვაგან.

ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, საკუთარი თვალით ეხილა ლენინგრადის „თეთრი ლამე-ები“ - იგონებს გიორგი - დაგვერნმუნება, რომ დაუვინყარ მთაბეჭდილებას ტოვებს განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთში დაბადებულ კაცზე.



გ. სალუქვაძე ლენინგრადში, პეტერგოფში, საწარმოო პრაქტიკის პერიოდში. 1937 წ.

ამ დროს მთელი ლენინგრადის მცხოვრებნი ბალებსა და პარკებში არიან გამოფენილი და მთელი დღე-ღამის განმავლობაში არ წყდება მათი ურიაშული.

1937 წლის „თეთრი ლამე-ების“ ალსანიშნავად კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ლენინგრადელებმა დიდი ზეიმი მოაწყვეს კარნავალითა და ჩვეული „ბალმას-კარადით“, რაზედაც სადღესასწაულო რეკლამები მთელ ქალაქში რამდენიმე დღით ადრე იუნივებოდა.

გიორგის აუხირდნენ მეგობრები, რომ სათანადო ტანსაცმლითა და მოკაზმულობით მონანილეობა მიეღო „ბალმასკარადში“, სტუდენტებმა თავისი გაიტანეს და გიორგი დაითანხმეს. მან საბრძოლო თოფიარალში ჩამჯდარი 1905 წლის რევოლუციის დროინდელი გურული ნითელი პარტიზანი განასახიერა ჩაქურით, ნაბდით, თეთრი ყაბალახით. წარმოიდგინეთ ამ გრადიოზულ სახალხო სეირნობაში, სადაც 200-მდე „წილაბი“ მონანილეობდა, გიორგის წილად ხვდა მეორე საპრიზო ადგილი და 350 მანეთი ფულადი ჯილდო. ამ უკანასკნელმა ძლიერ გაახარა გიორგის მეგობრები.

პირველი ადგილი მიენიჭა ლენინგრადელ სტუდენტ გოგონას, რომელსაც მოსასხამად წამოეხურა ვეებერთელა ნახევარგლობუსი, ჩრდილო პოლუსის თავზე მინიატურული თვითმფრინავით. ეს გონებამახვილური ჩანაფიქრი ეძღვნებოდა სენსაციურ რეკორდულ გადაფრენას მოსკოვიდან სამხრეთ ამერიკის ქალაქ სანდიეგომდე, რომელიც ჩრდილოეთ პოლუსის გავლით დაუშვებლად განახორციელეს საბჭოთა მფრინავებმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა: ვ. ჩიკალოვმა, ი. ბელიაკოვმა და გ. ბაიდუკოვმა. საკარნავალო ზემზე საოცარი იყო ვიღაც ქალარა რუსი მოხუცის ახირება, რომელ-



გ. სალუქევაძე და მისი მამიდაშვილი თ. გორგაძე.
ასეთი ჩაცმულობით მიიღო გიორგიმ მონაწილეობა
"ბალმასკარადში"

**მაც საშეელი არ მისცა გიორგის თავისი კითხ-
ვებით:**

- სადაური ხარ?

**- თბილისიდან ვარ ქართველი - უპასუხა გიორ-
გიმ,**

**- მეც თბლისიდან ვარ, მეც ქართველი ვარ, -
უთხრა უცნობმა, თუმცა ამით არ დაკმაყოფი-
ლებულა და ჩაეძია, გინდა თუ არა, მითხარი,
რომელირაიონიდან ხარ, ხად ცხოვრობო.**

**- ოზურგეთელი ვარ, - ძველი სახელწოდებით
ანიშნა გიორგიმ.**

- ბიჭოს, მეც ოზურგეთელი ვარ!

- რომელი სოფლიდან ხარ?

გიორგიმ იფიქრა, ნამდვილად მატყუებ-
სო, მაგრამ მანც უთხრა - ცხემლისხიდელიო.

- ახლა კი ნამდვილად გადავირევი! მეც ცხემ-
ლისხიდელი ვარ! უთქვამს უცნობს. მოხუცი აღ-
მოჩნდა რსფსრ-ის სახალხო არტისტი, ცხოვე-
ლების ცნობილი მწვრთნელი ალექსი ცხომელი-
ძე, წარმოშობით ქართველი, ცხემლისხიდელი
გიორგი ცხომელიძის შვილი, დედა რუსის ქალი
ყოფილა, რომელიც ადრე გარდაცვლილა, შემ-
დეგ ნასულა მამის სახლიდან და შერჩა რუსეთს.

გიორგიმ და მისმა აშხანაგებმა გაიხარეს,
დაპატიუეს ალექსი, მაგრამ ალექსიმ დანახა-
რჯის გადახდა სხვას არ დაანება: „შვილები!
თქვენ რომ ყველას ერთად ფული გაქვთ იმდენს
მე ერთ სალამოს ვიღებ ერთ გამოსვლაშიო“.
სტუდენტებმა ალექსის მაღლობა გადაუხადეს
და დაემშვიდობნენ. სანარმოო პრაქტიკის დამ-
თავრების შემდეგ „ელექტროსილას“ კომპავში-
რულმა ორგანიზაციამ ქართველ სტუდენტებს
გაცილება მოუწყო.

თხუთმეტი დღის თავზე „ელექტროსი-
ლას“ ხელმძღვანელობიდან საქართველოს ინ-
დუსტრიული ინსტიტუტის დირექტორის სახე-
ლზე სტუდენტების კეთილსაქმიანობის შესახებ
სამაღლობელი ნერილი მოვიდა. გიორგი სალუ-
ქვაძეს ინსტიტუტის დირექტორმა ი. ვაშაყმაძემ
მაღლობა გამოუცხადა. პროფესიონალური და ამავე
დროს „ვოროშილოვისებრი მსროლელი“ გიორ-
გი მცირე კალიბრიანი შაშხანით დაავილდოვა,
რომელსაც ვერცხლის მონოგრამიანი წარწერა
ჰქონდა”. გიორგი სალუქვაძის გულისხმიერე-
ბისა და წარსულისადმი ფაქიზი დამოკიდებუ-
ლების აღსანიშნავად აქ მცირე ექსკურსის ვაკე-
თებთ.

ლენინგრადის კარნავალიდან 31 ნოემბერი
გასვლის შემდეგ, ე.ი. 1969 ნოემბერის ივლისის თვეში,



გ. სალუქევაძე
1941 წ.

სამამელო ომის პერიოდი

1941-1946 წლები



გიორგი სალუქვაძე და თამარ ფარცვანია
თბილისი 1940 წელი

ქორნინებიდან შვიდი თვის შემდეგ, 1941 წლის 5 ივნისს გ. სალუქვაძე სამხედრო სამსახურში გაინვიდა. მონაწილეობდა ალყაშემორტყმულსევასტოპოლისა და ქერჩის ბრძოლებში. გიორგი ომის ქარცეცხლშიც არ ივიწყება საყვარელ საქმეს და სათავეში უდგება წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, პარალელურად იბრძვის, როგორც ოფიცერ-



გიორგი სალუქვაძე და თამარ ფარცვანია
1941 წლის 25 აგვისტო თბილისი

არტილერისტი. 1943 წლის ივნისში იგი გადაიყვანეს ქართული მსროლელი დივიზიის საარტილერიო ლეგიონში დივიზიის ძიების მეთაურად. დივიზიის სარდლობის დავალებით გ. სალუქვაძე როგორც ლოტბარი, ქორეოგრაფი და მოცეკვავე 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის 955-ე საარტილერიო ლეგიონის ბაზაზე ქმნის წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის 80-კაციან ანსამბლს, რაშიც უდიდესი დახმარება გაუწია იმავე ლეგიონის პირველი დივიზიონის კაპიტანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ალექსი ზაქარიას ძე პირმისაშვილმა. 1944 წლის თებერვალში ქ. თბილისში გამართულ ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიელთა თვითმოქმედი კოლექტივების დათვალიერებაზე აღნიშნულ ანსამბლს პირველი ადგილი მიენიჭა - შესრულდა მასობრივი ცეკვა „ხორუმი“ თემაზე: “სამშობლოსათვის სტალინისათვის“, რომლის მუსიკა კომპოზიტორმა გრიგოლ კოკელაძემ დაწერა, გ. სალუქვაძემ თავის მომავალ მეუღლესთან, თამარ ფარცვანიასთან ერთად შეას-

ბევრი სისხლი აქ უბრალოდ დალვრილა,
ბევრი მკლავი სამუდამოდ დახრილა,
სავალალო სისხლის დების წესითა
სამწუხარო ცრემლი ბევრი დალვრილა.

მთიულეთი შეიცვალა სრულიად,
სამტროდ არ სცემს დღეს ფარი და ხმალია,
ნუ გაშინებთ „კეჭნაობის“ ხმანია,
მთიულები განუყრელი ძმანია! ...

მაშ, ერეკლეს ხმლით ნაკურთხო ვმირებო!
იყავით მზად, გქონდეთ მკლავი მაგარი,
რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის დიდება,
ჩვენი ხალხის ბრძნული ნაამაგარი!

საქართველოს სახელოვან ომებში
გაისმოდა მთიულების დიდება,
თავზარს სცემდეს მტერს თუშ-ფშავ-ხევსურთა
ფარის ცემა და ხმალში შერკინება.



გ.სალუქვაძის მიერ შექმნილი მასიური ცეკვა „ფარიგაობის“ ფრანგმენტი. ცენტრში მარცხნიდან: შ. გეჯაძე და გ. სალუქვაძე.
1946 წელი, მოსკოვი.

საინჟინრო და შემოქმედებითი საქმიანობა

1947-1956 წლები

1947 წლიდან გიორგი სალუქვაძე გადაპყავთ ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მახარაძის (დღევანდელი ოზურგეთი) №1 ჩაის ფაბრიკის მთავარ ინჟინრად და დირექტორის მოადგილედ. ეს მისთვის მეტად საპატიო და საპასუხის-მგებლო დავალება იყო.

გ. სალუქვაძე ერთ-ერთ თავის ჩანაწერში აღნიშნავს, რომ „ჩემი საინჟინრო და ხალხურ თვითშემოქმედებაში მოღვაწეობა სინქრონულად მიღიოდა, ანუ, როდესაც ერთ მათგანზეა საუბარი, მეორეც უნდა ახსენოთ“. ამდენად ინჟინრისა და ხელოვანის ასეთმა ტანდემმა მის ცხოვრებაში ამ ორ პროფესიას შორის გარკვეული კანონზომიერება ჩამოაყალიბა.

შეუდგა თუ არა გიორგი მთავარი ინჟინრის მოვალეობის შესრულებას, იმავე დღესვე შეკრიბა მექანიკური და ელექტრო საამქროების ტექნიკური პერსონალი, კომისიის შემადგენლობაში მოინვია ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგი, ერთობლივად შეამონმეს ფაბრიკის ტექნოლოგიური დანადგარები, გამოკითხეს თანამშრომლები თუ, როგორ მუშაობდა თითოეული მათგანი ნინა ნლებში და რა ნაკლი გააჩნდა, გამოცდილი ექიმივით ყველა ტექნოლოგიური პროცესის მანქანაზე შექმნა მისი „ავადმყოფობის ისტორია“, ანუ საინჟინრო ენაზე ე.ნ. „სადე-ფექტო უწყისი“, საიდანაც გააკეთა საჭირო სამარაგო ნაწილებისა და მასალების ამონაკრები, ანუ სია, რომლის ასლები გადასცა კომისიის ნევრებს და მთელი შემადგენლობა დარაზმა ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ცენტრალურ სარემონტო ქარხანასა და ჩაის ფაბრიკებში სათა-დარიგო ნაწილების აღმოსაჩენად და შესაძენად.

ასეთი მაღალი ორგანიზებულობით დაწყებული კაპიტალური შეკეთების წყალობით მახარაძის №1 ჩაის ფაბრიკამ ერთი ნლის შემ-

დეგ ჩამორჩენილობა დაძლია. ეს ამბავი განსაკუთრებით ახარებდა ფაბრიკის მთავარ ტექნოლოგს, ტრესტ „საქართველოს ჩაის“ სტაუიან ცნობილ სპეციალისტს ვალოდია ეპრალიძეს, რომლისაგანაც გიორგი ტექნოლოგიური მიმართულების ყოველ საკითხზე კონსულტაციას ღებულობდა. ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმსა და საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში მიღებული ყოველგვარი ცოდნა ახლა გამოადგა გიორგის. ნოემბრის თვიდან მეორე ნლის აპრილის თვემდე სრულყოფილად გაეცნო და შეაკეთა ყველა მანქანა-დანადგარი, რამაც უზრუნველყო ფაბრიკის საპროექტო სიმძლავრის გაზრდა და დღე-ლამეში 72 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის შეუფერხებელი დამუშავება. ერთი სეზონის ბოლოს კი გიორგის ნათელი წარმოდ-



გ. სალუქვაძე
ტრესტ
„საქართველოს
ჩაის“, მახარაძის
№1 ჩაის
ფაბრიკის
მთავარ
ინჟინრად და
დირექტორის
მოადგილედ
მუშაობის დროს.
1947 წ.

დაზე პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო 1948 წელს ჩატარებულ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის მხატვრული თვითმოქმედების VI-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების, მაკვანეთის და გურიანთის კოლმეურნეობების ნაკრებმა ანსამბლმაც, რომლის მოცეკვავეთა ჯგუფს გ. სალუქვაძე ხელმძღვანელობდა, პირველი ადგილი დაიკავა.

1949 წლის შემოდგომაზე გ. სალუქვაძე მინვეულ იქნაქ. მახარაძის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფად (ლოტბარი არტემ გიგოსძე ერქომაიშვილი). ფაქტობრივად გ. სალუქვაძისათვის აქედან იწყება დიდი სურვილების ფრთების შესხმაგამოავლინოს და ალადგინოს ძველი ქართული ხალხური ცეკვები.

1951 წლის ოქტომბერში საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველად შესრულდა მის მიერ ალდგენილი ქართული მასობრივი ცეკვა, ფერხული „ფარცაკუკუ“, რომლის შესახებაც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი წერდა: „ ნარუშლელი შთაბეჭდილება დატვირთვა მახარაძის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლამ. მათ მიერ ოლიმპიადაზე შესრულებული ახალი, მასობრივი ცეკვა, ფერხული „ფარცაკუკუ“ უეჭველად შევა ახალ ფურცლად ქართულ საბჭოთა ქორეოგრაფიაში“.

მართლაც ასე მოხდა, ბატონი ი. სუხიშვილის წინასწარმეტყველება ახდა და დღესაც ცეკვა „ფარცაკუკუ“, რომელსაც ზოგჯერ „ფარცათი“ მოიხსენიებენ, ძალზე პოპულარულია და საქართველოს თითქმის ყველა ანსამბლის რეპერტუარში. მათი უმეტესობა სწორედ ამ ცეკვით იწყებს თავის კონცერტს როგორც სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთ, რომ არაფერი



მახარაძის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი საქართველოს VII-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. ცეკვა ფერხული „ფარცაკუკუს“ შესრულების დროს.

ვთქვათ ისეთ სახელოვან და აღიარებულ ანსამბლებზე როგორებიც არიან „სუხიშვილები“, „ერისიონი“, „რუსთავი“.

1954 წელს საქართველოს ხალხური შემოქმედების VIII-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გ. სალუქვაძემ ქ. მახარაძის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შესრულებით კვლავ ახალადდგენილი მასობრივი ცეკვა „კალმახობა“ ნარმოადგინა, რომელმაც ფართო აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო. ცეკვის დამ-



ცეკვა ფერხული "ფარცავუკუ" ანსამბლ
"ერისონი" შესრულებით.

თავრების შემდეგ დიდხანს უკრავდნენ ტაშს ცე-
კვის აღმდგენელს და დამდგმელს გიორგი სა-
ლუქვაძეს.

საქართველოს სახალხო არტისტი, ხელო-
ვნებათმცოდნეობის დოქტორი ლ. გვარამაძე
წერდა: "გიორგი სალუქვაძის მიერ აღდგენილი
ქართული, მასობრივი, შრომის პროცესის ამ-
სახველი ცეკვა "კალმახობა" სამუდამოდ შევა
ქართული ცეკვის ოქროს ფონდში." აღსანიშნა-
ვია რომ ცეკვის, მუსიკის, ტექსტის, კოსტუმე-
ბის ესკიზის ავტორი თავად გიორგი სალუქვა-
ძეა.



ქ.მახარაძის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და
ცეკვის ანსამბლის მიერ შესრულებული ცეკვა "კალმახობა"
საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VIII-ე
რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე თბილისში. 1954 წ.

1955 წელს გ. სალუქვაძე, რესპუბლიკის
ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საქარ-
თველოს მთავარენერგოს სისტემის ბუღუპესის
მშენებლობის დირექტორად და ტექნიკურ ზე-
დამხედველად დაინიშნა.

შემოემედის თემში შემავალ უკანასკნელ
სოფელს გომს, გასცდებით თუ არა, განუწყვე-
ტელი ყრუ შხეული შემოგესმებათ. რამდენადაც
ზევით მიიწევთ, ეს შხეული თანდათან ქუხი-
ლად იქცევა, ოლონდ ქუხილის ხმა სადღაც დაბ-
ლიფან ისმის. ორიოდე კილომეტრიც და თვალ-
ნინ ნარმოგიდებათ ბუნების საოცარი სილამ-
აზე, მთის ანკარა მდინარის ბუღუსის კალაპოტი.

ამ ადგილას, ცადაზიდულ მთებს შორის
როდესაც დაიწყო რაიონის სინამდვილეში მარ-
თლაც მნიშვნელოვანი ობიექტის, ბუღუპესის
მშენებლობა, ეს საპასუხისმგებლო საქმე რეს-
პუბლიკის ხელმძღვანელობამ რაიონის ხელმ-
ძღვანელობის ნარდგინებით ახალგაზრდა ენე-
რგეტიკოსს გ. სალუქვაძეს მიანდო. იგი თავდა-

ხელოვანი, შემოქმედი, სამოგადო მოღვაწე,
ფოლკლორისტი, ბუნების ქომაგი

1956-1990 წლები

1956 წლის ივლისში, საქართველოს რეს-პუბლიკურ ფესტივალზე გ. სალუქვაძის მიერ დადგმულ საფესტივალო ცეკვას 40 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით, თემაზე „ჩვენ მშვიდობა გვინდა“ (მუსიკა კომპოზიტორ გ. კოკელაძის), პირველი პრემია მიენიჭა, რის გამოც ის და მისი ოჯახის წევრები დაჯილდოვ-დნენქ. მოსკოვში, 1957 წელს დანიშნულ სტუდე-ნტი ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივა-ლის საგზურებით, სადაც მათ მონაწილეობა უნ-და მიეღოთ მსოფლიოს წარმომადგენელთა-თვის გამართულ „ქართულ ქორნილში“. აღნი-შნული ქორნილი გაიმართა საკავშირო მილნე-ვათა გამოფენის საქართველოს პავილიონში. ამ ქორნილის პატარძალი გახლდათ ულამაზესი და სინატიფით გამორჩეული 19 წლის სოფიო იაშ-ვილი, სიძე კი - ახევე ყოველმხრივ შემკული 22 წლის ჯემალ კიკნაველიძე. ქორნილს, რომელ-საც 600-მდე კაცი ესწრებოდა და მათ შორის უმეტესობა უცხოელი სტუმარი იყო თამადის, ბ-ნ თამაზ ჯანელიძის მოწოდებაზე სხვებთან ერთად გურულების დელეგაციაც (10 კაცის შე-მადგენლობით) მიესალმა. გურულების დელე-გაციას წინ ხონჩით ხელში მიუძღვდა 15 და 13 წლის ორი ყმანვილი თეთრ ჩოხებში, გიორგის შვილები - გულლია და საყვარელა და ქართულ კაბაში გამოწყობილი მათი დედა თამარი, რომე-ლმაც ნეფედედოფალს ჩონგური გადასცა საჩუ-ქრად. დელეგაციის მშვენება იყო 98 წლის მოხუ-ცი სოფ. ნატანებიდან, რუსული ენის მასწავლე-ბელი გერასიმე ბოლქვაძე, რომელმაც დალოცა ნეფე-დედოფალი და გიორგის შვილებთან ერ-თად ცეკვითაც მიესალმა მათ. გურულებმა ომა-სიანი მაყრულით გაახალისეს დამსწრე საზო-გადოება.

1959 წლიდან გ. სალუქვაძე 20 წლის გან-
მავლობაში ხელმძღვანელობდა ქობულეთის

რაიონის სოფელ ქაუთის საკოლმეურნეო გუნდის ქორეოგრაფიულ ჯგუფს, რომელსაც არაერთხელ ჰქონდა მოპოვებული სარაიონო, რესპუბლიკურ თუ საკავშირო დათვალიერებებში პირველი ადგილი (1963, 1965, 1971, 1977 წლები).

1960 წელს პიონერთა და მოსწავლეთა
რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ქ. მახარაძის №2
საშუალო სკოლის და სხვა სკოლების ნაკრები
გუნდითგ. სალუქვაძემ ნარმოადგინა მუსიკა-
ლურ-ქორეოგრაფიული სურათი „ზემინი პიო-
ნერთა ბანაკში“, სადაც პირველად შესრულდა
მის მიერ აღდგენილი ინგილოური ცეკვა „შიპ-
რობა“, რომელმაც ოლიმპიადის უმაღლესი შე-
ფასება, პირველი პრემია დაიმსახურა. თავად გ.
სალუქვაძე დაჯილდოვდა „სახალხო განათლე-
ბის ნარჩინებულის“ მედლით;



ცეკვა "შიპრობა" ინგილო მოსწავლეების შესრულებით
1967 წ.

გიორგის არქივში წავანებულით ერთ წერილს, ასეთი სათაურით: „ეს მეგობრობა ასე დაინტერესობულ მას და საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, ბატონ ვანო სალუქვაძეს ერთობლივად დაუწერია და ინგილო მეგობ-

რებს ეხება. გთავაზობთ ამ წერილიდან ფრაგმენტებს:

"1959 წელი იყო. მიმდინარეობდა გამალებული მზადება პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. საქართველოს დედაქალაქში მოელოდნენ მოსწავლეთა შემოქმედებას რესპუბლიკის ყველა კუთხიდან".

ამ სტრიქონების ერთ-ერთ ავტორს, გ. სალუქვაძეს მაშინ ასეთი აზრი დაებადა: "კარგი იქნებოდა, თუ საქართველოს ყოველი კუთხის ბავშვებთან ერთად ინგილოებსაც მივაღებინებთ მონანილეობას ოლიმპიადაში. ისინი ხომ ქართველები არიან, რომლებიც ცხოვრობენ მოძმე საბჭოთა აზერბაიჯანში". მართლაც, გიორგი წავიდა საინგილოში, წამოიყვანა რამდენიმე

ბავშვი, მოამზადა ისინი და ჩართო ქ. მახარაძის სკოლების ბაზაზე შექმნილი გუნდის მიერ 1960 წელს თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრში წარმოდგენილ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ სურათში „ზემი პიონერთა ბანაკში“, სადაც მახარაძელი მოსწავლეები ასრულებდნენ გიორგის მიერ დადგმულ ინგილოურ ცეკვა „შივრობას“, ხოლო ინგილო ბავშვები ამ ცეკვისათვის სპეციალურა დაწერილ სიმღერას. მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა გამომსვლელები. შთაბეჭდილება აუნერელი იყო. ასე ჩაეყარა საფუძველი მახარაძელი და ინგილოელი ახალგაზრდების მეგობრობას, რომელიც შემდგომ გიორგის ინიციატივით კიდევ უფრო გაღრმავდა.

ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ ცოტა



გ. სალუქვაძე ინგილო მოცეკვავეებთან ერთად 1970 წ.

ხნის შემდეგ გიორგიმ საინგილოში იმოგზაურა. მასთან ერთად იყვნენ ვანო სალუქვაძე, ბეჟუ- უშვესის პარტიული ორგანიზაციის მდივანი შო- თა ჭანუყვაძე, მექანიკოსი რევაზ მექვაბიშვი- ლი, მძლოლი ვალერიან კობალაძე, გაზეთ "ლენინის დროშის" ფოტოკორესპონდენტი ამირან აბულაძე. ზემოთ აღნიშნული წერილი საინტერესოდ იკითხება და ბევრ საჭირო

ინფორმაციას შეიცავს ინგილოების შესახებ. მკითხველი გაეცნობა ინგილოთა იმდროიდელი ცხოვრების, ყოფისა და საქმიანობის ამსახველ ბევრ საინტერესო ეპიზოდს, მაგალითად, ინგილოურ ქორწილს, ცნობებს გამოჩენილ ინგილო მოღვაწეთა შესახებ და სხვა. ამ ნერილის სრული ტექსტის გაცნობა მსურველს შეუძლია გ. სალუქვაძის საოჯახო არქივში.



გ. სალუქვაძის მოგზაურობა ჯგუფთან ერთად საინგილოში, სურათზე მარჯვნიდან: მეორე გ. სალუქვაძე, მარჯვნიდან მეექვსე მწერალი ვ. სალუქვაძე. სურათზე მარცხნიდან: პირველი მძლოლი ვ. კობალაძე, მეორე საინგილოს, კახის რაიონის თოფაძის რვანლიანი სკოლის დირექტორი ნ. ოქროვანამცილი, მესამე, ბეჟუ-უშვესის პარტიული ორგანიზაციის მდივანი შ. ჭანუყვაძე, მეოთხე, მექანიკოსი გ. მექვაბიშვილი, თოფაძის სკოლის მასწავლებლებთან ერთად. 1960 წ.



გიორგი თავისი ცეკვების კოსტიუმების ესკიზების
შექმნისას ცდილობდა გამოეყენებინა სხვადასხვა
ისტორიული თუ ეთნოგრაფიული მასალა, მაგალითად
"გურული რაზმელების" ეს ჩატმულობა მან ნაწილობრივ
გამოიყენა ცეკვა "ფუნდრუკში" ვაჟების
კოსტიუმებისათვის.



ცეკვა "ფუნდრუკის" დასაწყისი, მხატვრული
თვითშემოქმედების
IX-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე თბილისში, ოპერისა და
ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე

1961 წლის 13 მაისს თბილისში „ქარიშ-
ხალას“ სტადიონზე გაიმართა საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლის-
თავისადმი მიძღვნილი ზეიმი. სხვა საპატიო
სტუმრებს შორის აღნიშნულ ზეიმზე მოწვე-
ული იყვნენ „დიდი მოურავის“ ავტორი, მწერა-
ლი ანა ანტონოვსკაია და მისი ვაჟი, მწერალი
ბორის ჩორჩი. მათი ვიზიტის მიზანი, გარდა ამ
ზეიმში მონაწილეობისა, იყო ის, რომ შეექმნათ
და გამოეცათ დოკუმენტური ნოველები საქარ-
თველოს შესახებ. ასეც მოხდა - 1961 წელს საქა-
რთველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა
„ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა ნაშრომი „დოку-
მენტალის ჩავლენი ი გრუზია“, სადაც საკმაოდ
ვრცლად არის აღნერილი ინუინრისა და ხელო-
ვანის გ. სალუქვაძის მოღვაწეობა. შემდეგ, 1963
წელს, ამ მასალაზე დაყრდნობით „ქართული
ფილმის“ დოკუმენტური სტუდიის მიერ (რეჟ-
ისორი ზალ კაკაბაძე) გადაღებულ იქნა ორნა-
ნილიანი ფერადი ფილმი სათაურით „შრომა და
შემოქმედება გიორგისალუქვაძისა“.

1963 წელს საქართველოს კულტურის
სამინისტროს და საქართველოს მუსიკალური
და ქორეოგრაფიული საზოგადოების ინიცია-
ტივითა დაქ. მახარაძის რაიონის პარტიული და
აღმასრულებელი ხელისუფლების მხარდა-
ჭერითქ. მახარაძის სახელმწიფო თეატრში სა-
ზეიმოდ აღინიშნა გიორგი სალუქვაძის დაბა-
დებიდან 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობის
30 წელი. იუბილეს და საზეიმო კონცერტს ესწ-
რებოდნენ როგორც მახარაძის რაიონის ნარ-
მომადგენლები, ასევე მეგობრები, კოლეგები,
სტუმრები თბილისიდან, რესპუბლიკის სხვა-
დასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

გიორგის შემოქმედება რომ მრავალმხ-
რივი იყო, ამასზე ერთი ფაქტიც მეტყველებს.
1967 წელს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის



გ.სალუქვაძის დაბადებიდან 50 და შემოქმედებითი
მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებულ საიუბილეო
შეკრებაზე ქ. მახარაძის სახელმწიფო თეატრში. 1963 წ.

გადაწყვეტილებით, თბილისში უნდა ჩატარებულიყო რესტორნების რესპუბლიკური შეჯიბრი, ანუ ქვეყნის სხვადასხვა რაიონის საზოგადო ხელმძღვანელობას დედაქალაქში უნდა წარმოეჩინათ თავიანთი რაიონები ამ კუთხით, ანუ იმ თავისებურებებით და განსხვავებულობით, რაც საქართველოს ამ რეგიონებისთვის არის დამახასიათებელი ამ სფეროში. აი, სწორედ ამ საქმეში სთხოვა დახმარება გიორგის რაიონის საზოგადო ხელმძღვანელობამ და არც შემცირა. რესტორან „ისინდში“ (იყო ასეთი რესტორანი თბილისში იპოდრომის ტერიტორიაზე) გამართულმა გურულების მასპინძლობამ, კერძოდ რესტორანმა „გურიაშ“ საყველთაო აღიარება მოიპოვა და პირველი ადგილი დაიმსახურა, რაშიც გიორგიმ უდიდესი წელილი შეიტანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით მოგვიანებით გადაიღეს დოკუმენტური ფილმი - „გინვევთ ქართულ სუფრასთან“.

გიორგი სალუქვაძე 1964 წელს შეუდგა

მესხურ-ჯავახური მუსიკალურ-ქორეოგრაფილი ფოლკლორის შეგროვებას და შესწავლას. ორი წლის დაუღალავი შრომით მან ბევრ საინტერესო მასალას მოუყარა თავი. დიდი მგოსნისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დღეებისათვის 1966 წლის 24 სექტემბერს ახალციხის კულტურის სახლის ანსამბლმა პრეზიდენტულები შეასრულა ძველი მესხური ქალთა ცეკვა „მძიმური“ და მესხურ-ჯავახური ვაჟთა ცეკვა „იღუმალა“ (ამ ცეკვაში ასახულია თურქდამცყრობთა მიერქართველების იძულებითი გამაპმადიანების ცდები). იგივე ცეკვები და კიდევ ერთი ძველი მესხური მასობრივი ცერესული სახელწოდებით „დიდება“, სახუმარო ცეკვით „ვარძიობა-ძიობასა“, თბილისის მაყურებელმა იხილა 1967 წელს, რომლის შესახებ საფესტივალო დათვალიერების უიურის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი შალვა მშველიძე წერდა:

„ჯერ არ მოუხდენია მესხეთის ხელოვ-



გ.სალუქვაძე ცნობილ გურულ მომლერლებთან: შერმანდინ ჭავუასელთან, ვარდამ და ასლან ვაშალომიძეებთან, აპოლონ

ჩავლეიშვილთან, ილარიონ სიხარულიძესთან, გიგო აროშიძესთან ერთად. სურათზე მარცხნივ ჭ. ბაბილონე.

ფრანგმენტი ფილმიდან „გინვევთ ქართულ სუფრასთან.“

1967 წ.

ნებას ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება, როგორც ფესტივალის მეორე დღეს. ამ დღეს მოხდა სასა-ნაული, სხვანაირად არ შემიძლია შევაფასო ეს ფაქტი, სახელმოხვეჭილმა ინჟინერმა და ქა-რთული ცეკვების უნიჭიერესმა ქორეოგრაფმა, ჩვენი ხალხის ისტორიის მოტრფიალე გიორგი სალუქვაძემ ახალციხის ანსამბლთან ერთად წარმოგვიდგინა ცეკვები „მძიმური“ და „იდუმა-ლა“, ფერხული „დიდება“, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ცეკვების კომპოზი-ციამ, ეროვნულმა ილეობმა, ცეკვის შესრულე-ბის ოსტატობამ“.

ფესტივალზე გამოსვლისათვის გ. სალუქ-ვაძის მიერ მომზადებული ახალციხის, ქობუ-ლეთის რაიონის სოფელ ქაქუთის და მახარაძის რაიონის ქორეოგრაფიული კოლექტივები ფეს-ტივალის ლაურეატები გახდნენ და დიდი ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ, ხოლო გ. სალუქ-ვაძეს ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენი-ჭა.

გ. სალუქვაძის შემოქმედებაში ახლის ძიების საკითხი ყოველთვის წინა პლანზეა. იგი მოგზაურობს აჭარის მაღალმთიან სოფლებში, რათა ხალხში დამარხული მდიდარი საუნჯე დღის სინათლეზე გამოიტანოს. ამის დამადა-სტურებელია 1965 წელს ბათუმში გამართული მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება, რომელზეც ქაქუთის ანსამბლმა, გ. სალუქვაძის ხელმძღვანელობით, შეასრულა ძველი ხალ-ხური მასობრივი სანახაობა „სეირი“. პირველად შესრულდა ასევე გ. სალუქვაძის მიერ აღდგენი-ლი ქალთა შრომის პროცესის ამსახველი ცეკვა „ხელტარის ნადი“, („ხელტრის ნადი“).

გიორგის მიერ მომზადებულ ქორეოგ-რაფიულ კოლექტივებს იცნობენ არა მარტო სა-ქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. სოფელ ძიმითის საკოლმეურნეო ანსამბლი წა-



ცეკვა „მძიმურის“ ფრაგმენტი

რმატებით გამოვიდა კოლმეურნეთა III საკავ-შირო ყრილობაზე მოსკოვში, კრემლის ყრილო-ბათა სასახლეში; სოფელ ქაქუთის კოლექტივი, ძიმითის კოლექტივთან ერთად, - ბალტიისპი-რეთში, მახარაძის კულტურის სახლის კოლექ-ტივი - უკრაინაში, მოსკოვში და სხვა.



მესხური ცეკვა ფერხული „დიდება“, ფრანგმენტი. 1967 წელი

გიორგი სალუქვაძეს თავისებური წვლილი მიუძღვის პიონერთა და მოსწავლეთა მიმართაც, მან ქართული საცეკვაო ილეობის გამოყენებით შექმნა გოგონათა ცეკვა "წყაროსთან", რომელშიც საცეკვაო-სააკომპანიმენტო მელოდიად გამოყენებული აქვს ქართული ხალხური სიმღერა „თებრონე მიდის წყალზედა“. ბიჭუნებისათვის კი დადგა სიცოცხლით სავსე საბავშვო ცეკვა „ცხენობანა“. იგი მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედი წრეების დათვალიერებაზე თბილისში, ოპერის სცენაზე ვირტუოზულად შეასრულა მახარაძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

თავისი მზრუნველი ხელი გიორგის არც მახარაძის სახელმწიფო თეატრისათვის დაუკლია, წლების განმავლობაში მან ქორეოგრაფიულად დადგა და მუსიკალურად გააფორმა ორ ათეულზე მეტი სპექტაკლი. ასევე მისი კონსულტაციითა და ქორეოგრაფიული კომპოზიციებით არის გადაღებული სამი დოკუმენტური კინოფილმი: „შრომა და შემოქმედება“, „შეხვედრა მთაში“, „გინვევთ ქართულ სუფრასთან“ და სხვა.

გიორგიმ თავისი წვლილი ქართული ხალხური სიმღერების დაცვისა და შენარჩუნების საქმეშიც შეიტანა. მისი ინიციატივითა და საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მხარდაჭერით მახარაძეში, ჩვენს ქვეყანაში პირველად, 1968 წელს შეიქმნა გურული სიმღერების აღმდეგი და შემსწავლელი ოთხნლიანი სკოლა, სადაც სიმღერას ასწავლიდნენ გურული სიმღერის ოსტატები, სანოტო და მნიშვნელობისა და ფორტეპიანოს პედაგოგები. ამ სკოლის დირექტორი და ერთი პედაგოგთაგანი გიორგიც გახლდათ, სკოლაში სწავლების 4 - წლიანი ციკლი გაიარა მსმენელ-



ძიმითის საკოლმეურნეო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი,
ხელმძღვანელი გ. სალუქვაძე
1968 წ.

თა სამმა ნაკადმა. ეს სკოლა რამდენიმე ათეულმა ქალ-ვაჟმა დაამთავრა, რომელთაგანაც მრავალი კურსდამთავრებული ლოტბარობას დღესაც ეწევა. თავიდან კი ასე დაიწყო.

ხალხური მუსიკა ცეკვაზე ნაკლებ როდი იტაცებდა გ. სალუქვაძეს. იგი სიმღერით სუნთქვავდა. აკვნიდანვე გამოჰყვა მუსიკის სიყვარუ-

იმსჯელებენ მუსიკაზე, (არამედ ამ ქალაქების ხალხური ანსამბლებით. ასეთ სიტუაციაში, ცხადია, გ. სალუქვაძის ნამოწყება მისაბაძად იქნა აღიარებული. მით უფრო, რომ ამ ფორმუმზე გ. სალუქვაძე ნარსდგა მუშაობის ერთი წლის ანგარიშით. თავისი სკოლის მონაცეების შესრულებით რამდენიმე ხალხური სიმღერა მოასმენინა პლენუმის წევრებს. სკოლის დასაკომპლექტებლად რაიონის კოლმეურნეობებმა გამოაგზავნეს თითო, ზოგმა სამი კაცი. სულ 42 ვაჟიდაქალი შეიკრიბა (დანართში იხილეთ აღნიშული სკოლის პირველი შემადგენლობა). მონაცეებს კოლმეურნეობისაგან სტიპენდია დაენიშნათ ამავე დროს შეონდათ, ნებართვა,

რომ თავიანთსავე თუ მეზობელ სოფელში ჩამოეყალიბებინათ მომღერალთა ჯგუფი ან გუნდი და სკოლაში ნასწავლი მათთვისაც გადაეცათ. სკოლის დირექტორად თვითგ. სალუქვაძე დაინიშნა. მასწავლებლებად კი მოინვია ძველი გამოცდილი მომღერლები - ვ. ერქომაიშვილი (საგალობლების მასწავლებლად), დ. ქარჩავა (ხალხური სიმღერების მასწავლებლად), აკადემიური მუსიკის ელემენტების შესასწავლად კი ადგილობრივი მუსიკალური სასწავლებლის გამოცდილი პედაგოგები - შ. ლორთქიფანიძე (სანოტო სისტემა, სოლფეჯიო) და ვ. ქუთათელაძე (საგუნდო-სადირიუმორო ხელოვნება, სავალდებულო ფორტეპიანო). თვითონ



გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი სკოლის პირველი ნაკადი. 1970 წ.

ლმწიფო თეატრისთვის დაუკლია. 1948 წლიდან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე მას ქორეოგრაფიულად გაფორმებული აქვს მახარაძის სახელმწიფო თეატრის შემდეგი სპექტაკლები: "დიადი მეგობრობა", "ზვავი", "კიკვიძე", "დაჭრილი არნივი", "ზამთრის ზღაპარი", "კომბლე", "იავნანამ რა ქმნა", "ბაბთიანი გოგონა", "შაითან ხიხო" და სხვა.

გ. სალუქვაძის კონსულტაციით არის გადაღებული კინოფილმები: "ქართული ქორწილი", "გინვევთ ქართულ სუფრასთან", "შუამთური სეირი", "ფარცაკუკუ", "კალმახობა" და სხვა.

ხელოვნებაში ხანგრძლივი ძიების დიდ გზაზე გიორგი სალუქვაძის ერთგული თანამგზავრი და მეგობარი იყო მისი მეუღლე თამარ ფარცვანია-სალუქვაძისა, ერთ დროს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი-მოცეკვავე, შემდგომში დამსახურებული მასნავლებელი, მუსიკოსი, ქორეოგრაფი; ამ მუსიკალური ოჯახის შვილები, ვაჟები - გიორგი (გულლია) და საყვარელა-არქიტექტორები არიან.



გიორგი, მეუღლე
თამარი, შვილები
გულლია (გიორგი)
და საყვარელა.

გიორგი სალუქვაძეს რესპუბლიკური და საკავშირო ორგანოების მიერ მინიჭებული და

მიღებული პქონდა სხვადასხვა საპატიო წოდებებიდა სიგელები:

- დიდ სამამულო ომში მონაწილეობისათვის 8 მედალი, 1941-1945 წლებში;
- საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი ხელოვნების დარგში (სამგზის), 1951, 1955 და 1980 წლებში;
- საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, 1957 წ.;
- საქართველოს სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება და მედალი, ორიგზის - 1960 წ., და 1967 წ.;
- აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი ხელოვნების დარგში, 1964 წ.;
- საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება, 1967 წ.;
- საბჭოთა კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს წარჩინებულის წოდება და სამკერდე ნიშანი, 1979 წ.;
- ბუნების ქომაგის საპატიო წოდება და დიდი ოქროს მედალი, 1980 წ.;
- საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, 1985 წ.;
- საკავშირო და რესპუბლიკურ ფესტივალებზე, მოზრდილთა თუ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებზე მიღებული აქვს 7 ოქროს მედალი;

1990 წელს 15 ივნისს გიორგი ისაკის ძე სალუქვაძე გარდაიცვალა.

გ. სალუქვაძის სამოქალაქო პანაშვიდი და გამოსვენება შედგა ქ. მახარაძის ა. წუნუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრიდან. დამსწრეთა შორის მრავლად იყვნენ გიორგის შემოქმედების თაყვანისცემლები, მეგობრები, კოლეგები, ოჯახის ნაცნობები საქართველოს

თითქმის ყველა კუთხიდან, შემოქმედებითი კოლეგიუმები როგორც ადგილობრივი, ასევე ჩამოსულები. ანსამბლი „ერისონი“ მთლიანი შემადგენლობით ბატონების, ჯ. ჭკუასელისა და რ. ჭოხონელის ხელმძღვანელობით; ბ-ნ ა. ერქომაიშვილი, რომლის დიდ ოჯახთან გიორგის დიდი და ნათელი ურთიერთობა აკავშირებდა. გამოსვენების ცერემონიალს დაესწრო თბილი-სიდან სპეციალურად ჩამოსული იმ დროს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გაყოფილების გამგე ბ-ნ 6. საჯაია და საქართველოს კულტურის მინისტრი ბ-ნ ვ. ასათიანი. წარმომადგენლები ბალტიისპირეთიდან, ესტონეთიდან, ბელორუსიდან, უკრაინიდან. სამგლოვიარო დეპეშათა რაოდენობამ ასეულს გადააჭარბა. გიორგი სალუქვაძე დაკრძალეს თავის მშობლიურ სოფელ ცხემლისხიდში, ნინაპართა საფლავების გვერდით.

1997 წელს, გიორგის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საიუბილეო დღეებში ქ. ოზურგეთში, სახელმწიფო თეატრის გვერდით მდებარე სკვერში გაიხსნა გიორგის ბრინჯაოს ბიუსტი, (მოქანდაკე ი. რევაზიშვილი და არქ. ს. სალუქვაძე). იმ ქუჩას ქ. ოზურგეთში, სადაც გიორგი ცხოვრობდა, და სოფ. ცხემლისხიდის კულტურის სახლს გიორგი სალუქვაძის სახელი ეწოდა. სალუქვაძის სახელი ეწოდა ასევე ოზურგეთის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ფესვებს“, რომლის ხელმძღვანელია, ახალგაზრდა წარმატებული ქორეოგრაფი მერაბ მორჩილაძე.

მადლიერმა შთამომავლობამ არ დაივინყა გ. სალუქვაძის სახელი და ბატონების: ვასილ ჩიგოგიძის, ნოდარ გოგუასა და მერაბ მორჩილაძის ინიციატივით, გურიის მხარის ყოფილი გუბერნატორის, ბ-ნ ვალერი ჩიტაიშვილის და დღევანდელი გუბერნატორის გიორგი ჩხაძის,

ოზურგეთის რაიონის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის გია ტაკიძის, დღევანდელი გამგებლის, კონსტანტინე შარაშენიძის და საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ალექსანდრე მამეშვილის და დღევანდელი თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის მხარდაჭერით 2010 წ. დაარსდა და დღესაც გრძელდება გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო კონკურსი-ფესტივალი და ამავე წლისივნისში ჩატარდა პირველი ფორუმი. აი, რას ვკითხულობთ აღნიშნული კონკურს ფესტივლის დებულებაში:

გამოჩენილი ქართველი ფოლკლორისტის, ქორეოგრაფისა და ლოტბარის, საქართველოს სახალხო არტისტის და საქართველოს დამსახურებული ინჟინრის გიორგი სალუქვაძის სახელობის კონკურს-ფესტივალი ტარდება საქართველოში, ბატონი გიორგის მშობლიურ მხარეში, კერძოდ, შავიზღვისპირა კურორტ ურეკში და ქალაქ ოზურგეთში ყოველწლიურად.

ჩატარების თარიღი: ყოველი წლის ივნისის მეორე ნახევარი. ფესტივალის დამფუძნებელია საზოგადოება „არტ-გურია“.

ორგანიზატორები:

-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგება, საზოგადოება „არტ-გურია“,
- გ. სალუქვაძის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფესვები“.

მხარდამტერები:

- შემოქმედელი მიტროპოლიტი მეუფე იოსები,
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო,
- გურიის მხარის ადმინისტრაცია,
- საქართველოს ქორეოგრაფიის მოლვანეთა

საქართველოს სახალხო
არტისტი
გიორგი სალუქვაძე

სახელმწიფო ოქროს გედალი



მოჭვავა №001

დროის ჩანაწერები

გიორგი სალუქვაძის საოჯახო არქივში გავეცანით მის მიერ სხვადასხვა დროს, სხვა-დასხვა თემის თუ პრობლემის გარშემო მის დამოკიდებულების გამომხატველ, წერილებს, ჩანაწერებს და კიდევ ერთხელ დავრნმუნდით იმაში, თუ რაოდენ გულანთებული იყო იგი იმ საკითხებისა თუ პრობლემების მიმართ, რომე-ლიც ეხებოდა თავისი ქვეყნისა და ხალხის წარ-სულს, აწმყოს თუ მომავალს; მის საინჟინრო სა-ქმიანობას თუ ხელოვნებას, კონკრეტულ პი-როვნებებს და ა.შ. ქვემოთ წარმოგიდგენთ გ. სა-ლუქვაძის რამდენიმე ასეთ "დროის ჩანაწერს".

"არტემ ერქომაიშვილი ჩემი უფროსი მეგობარი"

არტემ გიგოს ძე ერქომაიშვილს, ასაკით ჩემზე გაცილებით უფროსს, მე ადრევე ვიც-ნობდი. ვერ კიდევ შვიდნლედის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ბათუმის ნავთსადგურის მტკირთავ მუშათა გუნდმა არტემის ხელმძღვანელობით ცხემლისხიდზე ქართული სიმღე-რების კონცერტი გამართა. მონანილეობას იღებდნენ არტემის მამა გიგო, ბიძა გიორგი ბაბილონე და ძმები ანანია და ვლადიმერ ერქო-მაიშვილები. გუნდის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა და ჩონგურზე დალილინებამ დიდი შთაბეჭდილება იქონია როგორც საზოგადო-ებაზე, ისე ჩემზე.

შემდგომ წლებში იმავე გუნდს მოვუს-მინე აგარაკ გომის მთაზე, აქაც დიდი მონონება დაიმსახურა მათმა სიმღერებმა, განსაკუთრებული შეფასებით აღნიშნა ძმების არტემის, ანანიას და ვლადიმერის მიერ შესრულებული გურული სიმღერა „შავი შაშვი“. როდესაც წა-მოვიზარდე, გავეცანი და შევისწავლე არტემის მიერ ფირფიტებზე ჩანერილი გურულ-აჭარული



საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე
არტემ ერქომაიშვილი. 1962 წ.

რამდენიმე სიმღერა, მაგალითად, "ორი-რა", "ადილა", "ხინწკალა" და სხვა.

1949 წელს მახარაძის კულტსახლის სიმ-ღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფობა შემომთავაზეს. მომღერალთა გუნდს არტემი ხელმძღვანელობდა. არტემთან ერთად მუშაობის სურვილით ნინადადებას მსნრაფლ დავე-თანხმე. ოთხი წელი ვიმუშავეთ განსვენებულმა არტემმა და მე ერთად, მუდამ შეხმატებილებუ-ლად ვწყვეტდით სიმღერასთან ცეკვის ერთობ-ლივად შესრულების ვარიანტებს. არტემი ხალ-ხური სიმღერისა და გალობის უდავოდ დიდოს-ტატი და ამავე დროს ვირტუოზი შემსრულებე-

ბულიყო ყოვლად უდანაშაულო და ისტორიულად ნაწამები ფერეიდნელი ქართველების სამშობლოში დაპრუნების საკითხი. ორი წლის შემდეგ ფერეიდანიდან საქართველოში მართლაც გადმოსახლდა 39 ოჯახი. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამ თხოვნის საფუძველზე დაპრუნდნენ ფერეიდნელები, მაგრამ აშკარაა, რალაც მონანილეობა კი გვაქვს ამ წერილით მიღებული ერისათვის მეტად მტკიცნეული ისტორიული საკითხის დადებითად გადაჭრის საქმეში.




1967 წლის გაზაფხული იყო. მთელი საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა ამავე ზაფხულზე ჩასატარებელი მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადისათვის ემზადებოდა. გიორგი სალუქვაძეს მახარაძის კომკავშირის რაიკომის ხელმძღვანელობამ სთხოვა, როგორც ნინა წლებში მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაში კარგი მაჩვენებლების მქონეს, მელექედურის საშუალო სკოლას დახმარებოდა მომავალ ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის. საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდს აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვალერიან ლუკას ძე საღრაძე ხელმძღვანელობდა. იმ ხანებში საქართველოს პროგრესიული საზოგადოების ყურადღება მიეცევული იყო ფერეიდნელი ქართველებისადმი. პოეტმა ა. სულაკაურმა გაზეთ, "ახალგაზრდა კომუნისტში" გამოაქვეყნა ფერეიდნელებისადმი მიძღვნილი ლექსი. რამდენადაც ეს თემა აქტიური იყო გიორგი დიდი ფიქრის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსწავლეთა მომავალ ოლიმპიადაზე მელექედურის მოსწავლეთათვის ძირითად თემად გამოე-



ინგილოური ცეკვა "შიპრობის" ფრანგმენტი. ასრულებს სოფ. მელექედურის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ყენებინა ფერეიდნელთა საკითხი, მეტადრე მას ყოველმხრივ მზად ჰქონდა გამარჯვებული ინგილო-ფერეიდანული ცეკვა "შიპრობა" თავისი კოსტიუმებით, მუსიკით და ტექსტით.

გიორგიმ საქართველოს სასიქადულო კომპოზიტორს რევაზ ლალიძეს თხოვნით მიმართა, რომ ა. სულაკაურის გამოქვეყნებულ ლექსზე "ფერეიდნის მიწას ვხნავ" დაეწერა შესაფერისი სიმღერა და სიმღერას დაერქმეოდა „ფერეიდნელის გოდება“, რომელსაც მოსწავლეთა მომავალ, მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადაზე შეასრულებდნენ მელექედურის საშუალო სკოლის მოსწავლეები. ოციოდე დღის შემდეგ მახარაძეში გიორგი სალუქვაძის სახელზე მიღებულ შეკვრაში სიმღერის სათანადო კლავირთან ერთად იყო ნერილი შინაარსით: „დვირფასო გიორგი! თქვენმა თხოვნამ დამჭედა, მე ახალგაზრდობიდანვე შეძრნუნებული ვიყავი ფერეიდნელთა



ხევდრით, მსურდა რაიმე შემექმნა მათდამი მიძღვნილი; გიგზავნით ჩემს ბოლო სიმღერას, თქვენი სურვილით შერქმეული სახელწოდებით "ფერეიდნელის გოდება, ვგზავნი ყოველგვარი საფასურის გარეშე, დაე! იგი ჩემგან სასიყვარულო ნობათად მიეძღვნას ჩვენი მშობლიური საქართველოს ყველა ბავშვს, მომავალ კაიქართველებს.
პატივისცემით რ. ლალიძე."*

*რ. ლალიძის ალნოშული წერილი, ნოტებითურთ ინახება გ. სალუქვაძის არქივში.

რ. ლალიძის ეს ახალი, ამაღლვებელი სიმღერა სწრაფად შეისწავლეს მელექედურელმა მოსწავლეებმა. ცეკვა "შიპრობის" მონანილე 18 ქალ-ვაჟი შეიმოსა ახალი შესაფერისად გაფორმებული ტანსაცმლით, საბურველით და მოკაზმულობით.

1967 წლის ივლისში მოსწავლეთა ოლიმპიადაზე, რომელიც მიძღვნილი იყო საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენიდან, როდესაც მელექედურის მოსწავლეების გამოსვლის ჯერი დადგა, გამოცხადდა რომ ნარმოდგენილი იქნება მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სურათი "ფერეიდანი", პატარა ბიჭქმა ფარდის ნინ მოხდენილად წაიკითხა ა. სულაკაურის ლექსი:

"ფერეიდანის მიწას ხხნავ, აგერ სამასი წელია, გამხმარი ფიქრი ჩავთესე, ხმელი ხორბალიც ერია, ფიქრების ამომწვანების, ვას, სული გადამელია. სამშობლოს მონატრებულ ვარ, აგერ სამასი წელია, ბედიც ამგვარი მწერია".

ამ ეროვნული გულისტკივილის მომგვრელ დეკლამაციას მოყვა კომპოზიტორ რ. ლალიძის მიერ სპეციალურად დაწერილი სიმღერა ზემოთ მოყვანილ ლექსზე, რამაც მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია.

პუბლიკის აღფრთოვანება ასევე განაპირობა ინგილო-ფერეიდანელთა ცეკვა "შიპრობამ", რომელიც სრულად იქნა პირველად შესრულებული. მუსიკალურ-ქორეოგრაფიულმა სურათმა "ფერეიდანმა" მაყურებელთა და უირის წევრთა უდიდესი სიმპათია დაიმსახურა.

მახარაძის რაიონის, მელექედურის საშუალო სკოლის მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს და მის ვოკალურ ხელმძღვა-

სამშობლოში გამეზავრების წინა დღეს ლატვიელები მიიპატიუა ძიმითის კოლმეურნეობის გამგეობამ. სტუმრებმა და მასპინძლებმა, კოლმეურნეობის სიმღერისა და ცეკვის 120-კაციანმა ანსამბლმა, რომელსაც გიორგი ხელმძღვანელობდა, ერთად გამართეს მეგობრობის დიდი კონცერტი. ძიმითელებმა რიგელებს მამაბაშურად სცეს პატივი, მეორე დღეს დილით, გამოსამშვიდებელ სუფრაზე სტუმრებმა მასპინძლებს უთხრეს: „ამდენი პატივისცემის ალსანიშნავად რაიმე დაგვავალეთო“, სუფრის თამადამ გიორგიმ სტუმრებს ასეთი დავალება მისცა: „როცა სამშობლოში ჩაბრძანდებით და სახლში დაისვენებთ, შემდეგ ქართველების სახელით იან რაინისის საფლავზე ცოცხალი ყვავილების თაიგული მიიტანეთ და დავალების შესრულება წერილით გვაცნობეთო“.




თხუთმეტი დღის შემდეგ, ლატვიიდან ძიმითში მოვიდა დალუქული ამანათი, რომელშიაც იდო რამდენიმე ჯგუფური სურათი და წერილი, შინაარსით: „თქვენი დავალებ შევასრულეთ, იან რაინისის საფლავზე ანსამბლთან ერთად ორგანიზებულად მივიდა ასამდე კაცი, კულტურის მუშაკები, მივიტანეთ ცოცხალი ყვავილების გვირგვინი, შევასრულეთ მეგობრობის სიმღერა ლატვიურად და უკვე ქართულად შესნავლილი „სულიკო“, გიგზავნით სურათებს და გვირგვინის ლენტს. თქვენი განუყრელი მეგობრები: ადოლფი, იური, ფრანცი, ანტონი, იაზექსი, ულდისი“. ცოცხალი ყვავილების გვირგვინიდან მონახსენ შავი აბრეშუმის ლენტზე რუსული შრიფტით ეწერა: „ლატვიური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის იან რაინისის ხსოვნას საქართველოს ულამაზესი კუთხის გურიის მშრომელებისაგან“.

აჭარის ასსრ. ქობულეთის რაიონი სოფ. ქაქუთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ხელმძღვანელები გ. სალუქვაძე და მ. შავიშვილი

სახელგანთქმული ლოტბარი-ვარლამ სიმონიშვილი

„არ არის მკვდარი ვინც მოკვდა
და ხალხს შესწირა დღენია.
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.
ი.ჭავჭაძე



საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე
ვარლამ სიმონიშვილი

ერის მოჭირნახულის, დიდი ილიას ეს სი-
ტყვები ჰქონია განსვენებულ ვარლამ ოქ-
როპირის ძე სიმონიშვილს შეეფერება. ჯერ კი-
დევ საეკლესიო-სამონასტრო გარემოცვაში
მყოფი ნიჭიერი მგალობელი ყმანვილი, სისხლი-
ანი ცხრაასხუთი წლის ვითარებაში, ფილთა თო-
ფებითა და დამბაჩებით შეიარაღებული, ცარიზ-
მის ნინააღმდეგ აჯანყებული გურული გლეხო-
ბის რიგებში „მარსელიოზას“ დამგუგუნებელი,
თვითმეცყობელური რეჟიმის გამძაფრებული
რეაქციის პირობებში გურული ხალხური მომ-
ღერლების თავის მომყრელი, იმედის მიმცემი
და ამამღერებელი, მენშევიკური ულიმლამო ყო-
ფის დროს მომღერალთა საკუთარ ხარჯზე შემ-
ნახველი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
პირველი დღიდანვე მთელი შემოქმედებითი აღ-
მაფრენით ამღერებული, პირველი რაიონული
გურული ეთნოგრაფიული გუნდის ორგანიზა-

ტორი და ხელმძღვანელი, მოსწავლეთა სასკო-
ლო და სამხედრო ნაწილების ჯარისკაცთა და
ოფიცერთა მომღერალთა გუნდების მზრუნვე-
ლი ლოტბარი – აი, განვლილი გზა და სახე ხე-
ლოვნების დამსახურებული მოღვაწის, ანგანს-
ვენებულ ვარლამ სიმონიშვილისა.

1929 წლიდან, საქართველოს ხალხური
თვითმეცყობელი პირველი ოლიმპიადიდან
დაწყებული, სიცოცხლის უკანასკნელ პერიო-
და მდე ვარლამ სიმონიშვილის ხელმძღვა-
ნელობითა და მონანილეობით მახარაძის რა-
ინის ეთნოგრაფიული გუნდი ყველა სახის დათ-
ვალიერებაზე უმაღლეს შეფასებას ღებულობ-
და. საამისოდ, მისი რეპერტუარი მუდამ მდიდ-
რდებოდა ახალ-ახალი სასიმღერო მელოდი-
ებით, გაოცებაში მოჰყავდა დედაქალაქის მა-
ღალმომთხოვნელობითი გემოვნების მსმენე-
ლები, საქართველოს გამოჩენილი კომპოზიტო-
რები, ხელოვნების მცოდნენი და სხვანი. მან
პირველმა აიყვანა კულმინაციურობამდე და
ქართულ ხალხურ სასიმღერო ხმათა ოჯახში
საპატიო ადგილზე დამკავიდრა გურული კრი-
მანჭული. ვარლამის მაღლიანი შრომისმო-
ყვარეობით, უნარით და უანგარო ზრუნვით შე-
კრებილი, დახვენილი და ფირფიტებზე გადატა-
ნილი ათეულობით გურული ხალხური, პოლი-
ფონიური სიმღერები ფასდაუდებელი ნობათია
ხალხური შემოქმედებისათვის, მომავალი
თაობისათვის. მის ბუნებრივ ნიჭის უნდა მივანე-
როთ ქართულ საჩონგურო რეპერტუარზე ზრუ-
ნვა, მისი გამდიდრება, შესრულებითი ტექნიკის
მაღალი კულტურა და სრულყოფა, ვინ არ
მოხიბლულა მისი საკუთარი სასიმღერო და
საჩონგურო სიმღერებითა და მელოდიებით,
ისეთებით, როგორიც არის: „დილა არის ცა-
ლაუვარდი“, „დილა“ (საჩონგურო), „ოცდახუთი
ნლის არნივი“, „სიმღერა საბჭოთა არმიაზე“,

**გ. სალუქვაძის შესახებ პრესის იმდროინდელი
ღა შემდგომი ჩოგიერთი გამოხმაურება**

იოსებ ახვლედიანი
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების
საქმეთა სამმართველოს უფროსი.

საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადა*

(ამონარიდი წერილიდან) ... ამ ზედმეტი ელემენტების დაწერვასა და გავრცელებაში რამდენადმე ბრალი მიუძღვის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლს, რომელმაც უდავოდ ძალიან კარგი საქმე გააკეთა ქართული ხალხური ცეკვების აღდგენისა და განვითარებისათვის, მაგრამ ზოგიერთ ცეკვას („მთიულური“, „აფხაზური“, „საქართველოს მთებში“) თავზე მოახვია უცხო, შეუფერებელი ხერხები და ილეთები, რის გამოც მათი პირვანდელი სახე შეიღახა და დამახინჯდა. შერყვნილი სახით ასრულებენ მათ თვითმოქმედი წრეებიც.

ჩვენმა ქორეოგრაფებმა უფრო ღმად უნდა შეისწავლონ ქართული ცეკვების ბუნება, გაამდიდრონ ისინი ახალი საბჭოთა ეპოქის შესაბამისი ელემენტებით. ცეკვის ხერხები შესწავლილ უნდა იქნეს ადგილებზე. ახალი ცეკვები უნდა შეიქმნას ადგილობრივ მასალებზე დაყრდნობით: სწორედ ამ მეთოდით მუშაობს და ამიტომაც იმარჯვებს ქორეოგრაფიგ. სალუქვაძე, რომელმაც „ფარცაკუეუ“ და „კალმახობა“ ადგილობრივი მასალის მიხედვით დაამუშავა.



ლილი გვარამაძე
საქართველოს სახალხო
არტისტი

სალხური ქორეოგრაფია ოლიმპიადაზე*

(ამონარიდი წერილიდან) ... ჩვენი ყოველდღიური გმირული შრომის ასახვა ხელოვნებაში საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა. პასუხსაგებია, იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მართალი, გამომსახველი ხერხებით. მერვე ოლიმპიადაზე ანსამბლებმა უხვად გამოიტანეს ყურძნის, თამბაქოს, ჩაის ფოთლის მკრეფავთა ეგრეთწოდებული ცეკვები, ე.ი. ქორეოგრაფიული ეტიუდები, რომლებიც შრომის პროცესებს გამოსახავენ. ყველა ეს ცეკვა, სხვადასხვა სახელნობებისაა. წითელწყაროს ანსამბლმა ისიც კი მოახერხა, რომ ერთ ასეთ ცეკვას უწოდა „ცეკვა ყამირ მიწებზე“, სადაც სხვადასხვა მხრიდან სცენაზე გამოდიან ცეკვის მონაწილენი, ხაზგასმული რიტმიზებული მექანიკური მოძრაობებით რამპისაკენ მოიწვევენ და შემდეგ ამავე წესით უკან იხევენ. ხეტიალობენ ერთხანს რა სცენაზე, გამოსახავენ რა ყოველ ცალკე შემთხვევაში რაიმე საწარმოო პროცესს: ყურძნის, თამბაქოს ჩაის ან ციტრუსების კრეფას, მოცეკვავენი ხელების იმავე ათროთოლებული მოძრაობით მხრებზე გადაიკიდებენ ზონებით წარმოსახულ კალათებს და კულისებისაკენ გაეშურებიან.

ჯერჯერობით გაურკვეველია სად, როგორ წარმოიშვა და დამკვირდა ეს ცუდი სტანდარტი, რომელსაც არაუერი საერთო არა აქვს არც სალხურ ცეკვასთან, არც პანტომიმასთან,

* -ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №1, 1955 წ. გვ. 8, 9, 10.

*-ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №2, 1955 წ., გვ. 26

აფერადებულ აღამიანთა თაიგულ-მოცეკვა-ვეთა ანსამბლს. ბოლოს, ისიც დოლის ცემითა და ჩაბუქნული სტოვებს სცენას. ესეც დაუვიწყარ მოგონებად დარჩება ყველას, ვინც ამ სალა-მოს ნახა ეს თვალწარმტაცი სანახაობა, რომე-ლიც დადგმულია დაუღალავი შემოქმედის, თა-ვისი საქმის უანგაროდ მოყვარულის, ნიჭიერი ქორეოგრაფის გ. სალუქვაძის მიერ, ცეკვის ში-ნაარსი ასეთია: ძველადგურიაში მხედრები ერ-თმანეთს ეჯიბრებოდნენ, ეს შეჯიბრება რომე-ლსაც უნდა გამოევლინებინა მისი მონანილე-ების ურყეობა, ნებისყოფის სიმტკიცე და ამტა-ნობა, იგი იმართებოდა საკმაოდ დიდ მანძილზე 3-4 კილომეტრზე. ხდებოდა ხოლმე ხალხი ამ ცეკვა შეჯიბრებით დვაბზუდან ქალაქ ოზუ-რგეთში ჩამოდიოდა, მაგრამ ჩამოდიოდა არა ყველა, არამედ 3-4 კაცი, რადგან სხვები გზაში ჩამორჩებოდნენ ხოლმე.



ლილი გვარამაძე საქართველოს სახალხო არტისტი

ისევ ქართული ქორეოგრაფიის შესახებ.*

(ამონარიდი წერილიდან) ... არანაკლები ინტენსიური მუშაობაა გაჩაღებული რაიონების მრავალრიცხოვან ქორეოგრაფიულ კოლექ-ტივებში. გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხშირად მეტად ძვირფასი თაოსნობა, ცოც-ხალი ნაკადი, ნამდვილი ნოვატორობა ქორეოგ-

* ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №1, 1958 წ. გვ. 21, 22.

რაფიის სფეროში მოღის სწორედ რაიონებიდან. ჩვენ ამაში ერთხელ კიდევ დავრნმუნდით, მხა-ტვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადების მიმღინარეობის დროს. უნინა-რეს ყოვლისა აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქ. მახარაძის შესანიშნავი ქორეოგრაფი გიორგი სალუქვაძე. მას ეკუთვნის სამხედრო-სპორტუ-ლი ხასიათის ძველებური ქართული ცეკვის „ფარცაკუკუს“ აღდგენა. მის მიერაა დადგმუ-ლი მშვენიერი ქორეოგრაფიული მინიატურა „კალმახობა“, სადაც მიგნებულია კალმახის ჭერის შრომითი პროცესის გამოსახვის უაღ-რესად დამაჯერებელი ლამაზი მხატვრული ფორმა.

ამ ცეკვას არ ახლავს არც გარეგნული ეფექტები არც თავსამტრევი და კისერ-მოსა-ტეხი ტრიუკები, არც ზედმეტად სწრაფი ტემ-პები, სამაგიეროდ შინაგანად ისე მდიდარია და ისეთი დამაჯერებლობით სრულდება, რომ მუ-ლამ დარბაზის უსაზღვრო აღტაცებას იწვევს.



გრიგოლ კოკელაძე საქართველოს სახალხო არტისტი

ისევ ქართული ხალხური ცეკვების გამო*

(ამონარიდი წერილიდან) ... ყველასათვის ცხადია, რომ სიმღერისა და ცეკვის ანსამბ-ლებში კონცერტი დამოუკიდებელი ცეკვით არასოდეს არ იწყება, ჯერ სიმღერა სრულდება და შემდეგ ცეკვა. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი კი ამის საშუა-

* ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №8, 1960 წ. გვ. 82, 83.

**საქართველოს სახალხო არტისტის,
რუსთაველისა და
სახელმწიფო პრემიერის ლაურეატის
ანზორ ერქომაიშვილის მოგონება
გიორგი სალუქვაძის
შესახებ „ხაზის რადიოს“ - 2012 წლის 11
დეკემბრის გადაცემაში**

ბატონი გიორგი სალუქვაძის ოჯახი ჩემთვის ყოველთვის უსაყვარლესი იყო და არის დღესაც. ამ დიდებულ პიროვნებას, ბაბუაჩემის წყალობით, ბავშვობიდან ვიცნობდი და გიორგი ბიძიას ვეძახდი, ამიტომ პატარაობიდანვე მოწმე ვარ მისი შემოქმედებითი წარმატებისა.

ბატონი გიორგი ბევრს მოგზაურობდა გურიისა და სხვა რეგიონების სოფლებში, იგი მივიწყებული ცეკვების ძირებს ეძებდა, მერე აღადგენდა, ახალ სიცოცხლეს შთაბერავდა და ხალხის სამჯავროზე გამოჰქონდა. სწორედ მან, გიორგი სალუქვაძემ აღადგინა და ფაქტობრივად გადაარჩინა უნიკალური გურული ცეკვები.

ბატონი გიორგი არტემ და ყლადიმერ ერქომაიშვილებთან ერთად რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სათავეში ედგა ოზურგეთის სიმღრისა და ცეკვის გაერთიანებულ გუნდს, ამ პერიოდში მათი ერთობლივი ძალის სმევით ოზურგეთის ანსამბლი ერთ-ერთი საუკეთესო იყო რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე.

მე პატარაობიდანვე ამ ანსამბლის წევრი გახლდით და ყოველივე კარგად მახსოვეს. არა-სოდეს დამავიწყდება 1951 წელი, როცა გამარჯვებულთა ოლიმპიადაზე დასკვნითი კონცერტი გაიმართა და ფინალში ოზურგეთის ანსამბლმა გიორგი სალუქვაძის მიერ აღდგენილი გურული

“ფერხული-ფარცაკუკუ” შეასრულა. ოპერის თეატრში ტევა არ იყო, საზოგადოებამ თავისი აღფრთვობანება ოვაციებით გამოხატა, ხოლო უიურიმუმაღლესი შეფასება მისცა ამ მართლაც მკვდრეთით აღდგენილ ულამაზეს ცეკვას.

შემდგომ ოლიმპიადებზე შესრულდა ბატონი გიორგის მიერ აღდგენილი და დადგმული არაჩევულებრივი ცეკვები „კალმახობა“ და „ფუნდრუკი“. მასსოვს „კალმახობაში“ სოლოს შესანიშნავად ცეკვავდა ბატონი გიორგის მეულეებატონი თამარი, იგითავის ორვაჟიშვილთან ერთად არაჩევულებრივ კოლორიტს მატებდა ამ მართლაც უნიკალურ ცეკვას.

აღსანიშნავია, რომ გიორგი სალუქვაძის მიერ დადგმული ცეკვები გურული სიმღერების თანხლებით სრულდებოდა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცეკვის აკომპანიმენტად დამკვიდრებული გარმონი. ამიტომ ძველ გურულ სიმღერებზე შესრულებული ცეკვები გასაოცარ ეფექტს ახდენდა მაყურებელზე. ცეკვებისთვის სიმღერის ვარიანტები ბატონ გიორგის მოჰქონდა. „ფუნდრუკში“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა გიორგი სალუქვაძის მიერ აღდგენილ და დადგმულ ცეკვებს შორის, ადრე გურიაში გავრცელებული ინსტრუმენტი სოინარი და ჩონგური გამოიყენა, რომლებიც არაჩევულებრივად მოერგო „საფუნდრუკო“ სიმღერას. ამ სიმღერის წარმომავლობა მაშინ არ ვიცოდი. როდესაც წამოვიზარდე და ძველი ფონოჩანაწერების შეგროვება დავიწყე, მივაკვლიე 1907 წელს ჩანერილ სიმღერა „იარამაშას“, მას გიგო ერქომაიშვილის გუნდი ასრულებს სოფელ მაკვანეთიდან. სწორედ ამ სიმღერაზე ააგობ ბატონმა გიორგიმ ცეკვა „ფუნდრუკი“, რომელმაც, მართლაც ფურორი მოახდინა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე (მისი სასიმღერო ფონოჩანაწერი საქართველოს რადიოს

გულთან მიტანილი საქმე

ნახევარ საუკუნეზე მეტი აკავშირებდა ბატონ გიორგი სალუქვაძეს საქართველოს სიმღერისადა ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (დღევანდელი ტექნიკური უნივერსიტეტის) მეოთხე კურსის სტუდენტი იყო გიორგი 1937 წელს, როდესაც საქართველოს ხალხური შემოქმედების IV რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ინსტიტუტის მოცეკვავეთა ჯგუფმა ცეკვა „გურული ხორუმის“ საუკეთესო შესრულებისათვის პირველი ჯილდო და ფულადი პრემია მოიპოვა, რის შედეგადაც იგი მიიჩნიეს დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ქორეოგრაფად, შემსრულებლად, ანსამბლის გურული ეთნოგრაფიული ჯგუფის მომღერლად.

ბევრი კარგი რამ გაუკეთებია ბატონ გიორგის სახელმწიფო ანსამბლისათვის. იგი დიდ სამამულო ომში აქედან ნავიდა. ომის დამთავრების შემდეგ საბრძოლო დამსახურებისათვის მიღებული ჯილდოებით მკერდდამშვენებული ისევ სახელმწიფო ანსამბლში დაბრუნდა და კარგა ხანს მოღვაწეობდა იქ მშობლიურ რაიონში გადასვლამდე.

არაერთ მივიწყებულ - დაკარგულ ხალხურ ცეკვასა და სიმღერას ბატონმა გიორგიმ მიაკვლია. მისი თაოსნობით და ინიციატივით შეიქმნა გურული სიმღერების აღმდგენი და შემსწავლელი სკოლა, მაგრამ ჩვენ აქ ყურადღებას მხოლოდ ერთ საკითხზე გვინდა შევაჩეროთ.

1990 წელს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ან-

სამბლს არსებობის 100 წელი უსრულდებოდა. ამ დიდებული თარიღის მაღალ დონეზე აღსანიშნავად სახელმწიფო ანსამბლი საზოგადოებასთან ერთად დიდი მონდომებით ემზადებოდა, მეტადრე, რომ შემდეგ ანსამბლი ხანგრძლივი საგასტროლო ტურნეთი შორეულ ამერიკაში მიერგზავრებოდა.

ბატონ გიორგის ვთხოვეთ, რომ დაგეგმილი საიუბილეო ღონისძიებებიდან სახელმწიფო ანსამბლში დაედგა მის მიერ 1948-1951 წლებში აღდგენილი უძველესი გურულ მებრძოლთა მასობრივი ცეკვა „ფარცაკუკუ“. მან თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და ანსამბლში გვესტუმრა. ჩვენ გაგვაოცა მის მიერ ჩამოტანილმა ჩანაწერ-ჩანახატებმა, რომელშიც დეტალურად იყო აღნიშნული ყველა ინდივიდუალური, ჯგუფური თუ მასობრივი მოქმედების მოცეკვავეთა პარტიების „გრაფიკული ნახაზები“ და ილეთები. „ეს იმიტომ გავაკეთე, რომ დრო რაციონალურად გამოვიყენოთ და მოკლე ვადაში შევასრულოთ ნინასწარ ჩაფიქრებული სურათი, მისი ყველა დეტალი“, – გვითხრა ბატონმა გიორგიმ.

მთელი ანსამბლის შემადგენლობა სიხარულით დაირაზმა აღნიშნული მასობრივი ცეკვის მსწრაფლ ასათვისებლად. ანსამბლის მომღერლები მინიმალურ დორში დაეუფლენ ცეკვის სააკომპანემენტო სიმღერებს, ქორეოგრაფიული კოლექტივის 20 ქალიშვილისა და 25 ვაჟის შემადგენლობამ ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღიური ინტენსიური მეცადინეობით მთლიანად შეისწავლა ეს რთული გურული სამსართულიანი, ომახიანი ცეკვა „ფერხული-ფარცაკუკუ“, რომელიც ნამდვილად დიდებული შენაძენია ჩვენი სახელმწიფო ანსამბლისათვის, როგორც მისი ისტორიის, მაღალი კულტურის, ხალხური ხელოვნების საუკეთესო ნიმუში.

აღნიშვნის გარეშე ვერ დავტოვებთ იმ ფაქტს, რომ ბატონმა გიორგიმ ჩატარებული სამუშაოსათვის შრომითი გასამრჯელოს მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხად: „ოჯახში გაკეთებული სიკეთისათვის ანაზღაურებას არ იღებენ“.

ჩვენი ანსამბლის სრული შემადგენლობა – მომღერლები, მოცეკვავეები, მემუსიერნი, ხელმძღვანელობა კიდევ ერთხელ დიდი მაღლიერებით ვიხსენებთ საქართველოს სახალხო არტისტის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის, დიდი მამულიშვილის ბატონი გიორგი სალუქვაძის ამ ამაგს და გულისტყივილით აღვნიშნავთ, რომ მასზე საუბარი წარსულ დროში გვინევს.

ჯემალ ჭუასელი
საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „ერისონის“
სამხატვრო ხელმძღვანელი. საქართველოს
სახალხო არტისტი, რუსთაველისა და
სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

რეზო ჭოხონელიძე
ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი,
საქართველოს სახალხო არტისტი,
რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების
ლაურეატი

საქართველოს სახალხო არტისტის
ომარ მხეიძის ნაამბობი
(მოგვაწოდა საყვარელ სალუქვაძემ)

2004 წლის 17 აპრილს ქ. ოზურგეთში თეატრალურ მოედაზე შედგა „ჩოხოსანთა“ საზოგადოების ნეკრთა შეხვედრა ოზურგეთის რაიონის ნარმომადგენლებთან. შემდეგ შეხვედრა გავრძელდა სოფელ შემოქმედის სამონასტრო კომპლექსის ეზოში. ჩატარდა „ჩოხოსანთა“ საზოგადოებაში განევრიანების რიტუალი. ოზურგეთის ანსმბლ „შეიძეგაცამ“ ტრისტან სიხარულიძის ხელმძღვანელობით ვარლამ სიმონიშვილის საფლავზე შეასრულა რამდენიმე საგალობელი. შეხვედრა გაგრძელდა სოფელ შემოქმედში კვირჩილაძეების ოჯახში. საზეიმო სუფრას თამადობდა ექიმი დავით ჩანტლაძე, როდესაც მან ადლეგრძელა „ჩოხოსანთა“ საზოგადოების ნეკროცნობილი მოცეკვავე, საქართველოს სახალხო არტისტი, ომარ მხეიძე ამ უკანასკნელმა თავის სამადლობელ სიტყვაში გაიხსენა შემდეგი: „ბატონებო! თქვენს მხარეში მოლვანეობდა შესანიშნავი პიროვნება საქართველოს სახალხო არტისტი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოში ერთ-ერთი უპირველესი ქორეოგრაფი, გიორგი სალუქვაძე, რომელსაც პირადად ვიცნობდი და მქონდა მასთან რამოდენიმე შეხვედრის ბედნიერება“. შემდეგ ბატონმა ომარმა აღნიშნავ, რომ პირველად ქ. ოზურგეთში ის ძალიან ახალგაზრდა იყო როცა ჩამოვიდა ცნობილ ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტ ჯანო ბაგრატიონთან ერთად. „ჯანო ბაგრატიონი გიორგის უფროსი მეგობარი იყო, ამიტომ ბატონმა გიორგიმ მიგვიწვია სახლში, გაგვიმართა პურმარილი. მას როგორც ჩვევია თასში ჩაასხა ღვინო,

და სოფლის ხელმძღვანელებთან ერთად ამ დავალების აღსრულება გიორგისთვისაც დაუვალებიათ. გიორგისისე მოუხერხებია, რომ ამ დავალების შესრულება თავიდან აუცილებია, როგორც ჩანს, მას კარგად ახსოვდა სიხარულიძეებში სიხარულით მიღება და გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დაუშვებელია ყველაფრის პოლიტიზირება.

მე და ჩემი ძმა როზენი მოკრძალებით ვხრით თავს ამ დიდი ქორეოგრაფის დიდსულოვანი ნათელის წინაშე. მას ხომ 2013 წლის 27 ივნისს 100 წ. შეუსრულდებოდა.

რაულ სიხარულიძე
მამამისის კარლოს ნაამბობის მიხედვით
სოფ. ძიმითი. 16- 06- 2013 წ.

ჩემი ბაბუა – გიორგი სალუქვაძე

მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი, ბაბუა მახსოვს... იგი დღესაც ჩემს წარმოსახვაში სოფელ ცხემლისხიდში გატარებულ ბავშვობის ნლებთან ერთად ცოცხლდება... ახლა როცა იმ ოდა სახლში შევდივარ, სადაც მისი უამრავი სურათი შემომცეკვის, როცა ჩვენს დიდ ეზოში დავდივარ, ან იმ ხის მაგიდასთან ვჯდები, სადაც ბაბუას წერა უყვარდა, ბევრი რამ მაგონდება...

თითქმის ყოველ დღე ჩვენთან სტუმარი იყო და ბაბუას მათთან გამასპინძლების მისეული წესი ჰქონდა. საქმარისი იყო კაცი სულ რამოდენიმე წუთით მოსულიყო რაღაც საქმეზე ბაბუა მას არ გაუშვებდა, ლანგარზე ლვინით სავსე დოქს, ბურს და ყველს დაალაგებდა და უცებ შემოსტუმრებულს იქვე, ჭასთან გაუმასპინძლდებოდა. როცა თბილისიდან ან უცხოეთიდან საპატიო

სტუმრებს ელოდებოდა, განსხვავებული და სპეციალურად მოფიქრებული დახვედრის ტრადიცია ჰქონდა, რითაც მათ ქართული სუფრის კულტურასა და ევეკუნის ადათ-წესებს აცნობდა, უყვარდა ურთიერთობები....

სშირად ვხედავდი თავის სამუშაო ოთახში მაგიდასთან მჯდომს და ჩაფიქრებულს, უყვარდა წერადა განმარტოვება. ეხლა ვხვდები, რომ ამ დროს იქმნებოდა ახალი ცეკვა, ან სიმღერა, ლექსის სტროფები. შვილისშვილებს, თამარს, ნინოს, ქეთევანს გვასწავლიდა წონგურზე დაკვრას. თითოეულს სიმღერაც კი მოგვიძღვნა. ვულის ჯიბეში მუდამ ედო ქალალდი და ფანქარი და შემიმჩნევია, რომ ზოგჯერ შეჩერდებოდა და რაღაცას ჩაინიშნავდა. მოისმენდა თუ არა რაიმე განსაკუთრებულ ისტორიას, მას აუცილებლად ჩაიწერდა, ქმნიდა ლექსებს და იუმორისტულ ჩანახატებს, გურულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონიც შეადგინა... გამორჩეული კალიგრაფია ჰქონდა, კარგად ხატავდა. ესკიზისა და მოცეკვავთათვის თითოეულ საილეთო მოძრაობას ჯერ ფურცელზე ხატავდა, შემდეგ კი სცენაზე გადაექონდა. ასე შექმნა ცნობილი “ფერხული-ფარცაკუუ”, “კალმახობა”. “ფუნდრუკი” და სხვა ცეკვები.

შემიმჩნევია, სშირად შეჩერდებოდა და ყურს უგდებდა ფრინველთა გალობას. ჩვენს ეზოში მრავლად იყო სხვადასხვა სახის ფრინველი, რადგან ბაბუა უკრძალავდა მეზობლის ბიჭებს მათზე ნადირობას. სშირად, როდესაც გაიგებდა ფრინველის ჭიკიჭის (განსაკუთრებით ერთის მიმართ იჩენდა ინტერესს), მეტყოდა: აი, ბაბუა ეს არის იადონი (რომელსაც გურიაში „გაიდონას ეძახიან“). ალბად ამიტომაც მის მიერ შექმნილ ფოლკლორულ ანსამბლს “იადონი” უწოდა.

მიუხედავად ბაბუას მრავალმხრივი უნარ-

ჩვევებისა და საინუინო მოღვაწეობისა, მისი მთავარი საფიქრალი მაინც ხალხური მუსიკა-ლური და ქორეოგრაფიული ხელოვნება იყო, რომლის დიდმა სიყვარულიმა მას მრავალი ცეკვა და სიმღერა შეაქმნევინა, სიჭაბუკის წლებიდან მოყოლებული ცხოვრების ბოლომდე რთული შემოქმდებითი გზა განვლო, რაც თავის სფეროში ახალი სიტყვის თქმასაც უკავშირდებოდა. მეუღლესთან, თამარ ფარცვანიასთან ერთად ქართული სიმღერისა და ცეკვის აღგენა - შენარჩუნებაში თავისი წვლილი შეიტანა. სწორედ ამიტომ მიანიჭეს საქართველოს სახალხო არტისტის წოდებაც. ის ხომ საქართველოს დამსახურებული ინუინერიც იყო. მახსენდება გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, გასტროლებიდან ახალ ჩამოსულმა და გადაღლილმა როგორ გამართა ოზურგეთის დრამატულ თეატრში მისი ანსამბლის ბოლო საღამო... თითქოს ყველას დაემშვიდობა....

დღეს კი, როცა სოფელ ცხელმლისხიდში ჩემი ბავშვობის ოდა - სახლს ვსტუმრობ და მეხსიერებაშიც კვლავ გიორგი ბაბუა ცოცხლდება, ვხვდები იქ ჭასთან უცებ შემოპატიუებულ მგზავრთან უბრალოდ გატანილი პური და ლვინო სხვა არაფერი იყო, თუ არა ადამიანის მიერ ადამიანის მიმართ გამოხატული დიდი სიყვარული, რისი უნარიც ალბათ რჩეულთა ხვედრია.... ბაბუაც ერთ-ერთი რჩეული იყო, რომელმაც მამულიშვილის სახელი ღირსეულად ატარა....

ნინო სალუქვაძე



გ. სალუქვაძის ვაჟის, გიორგის მოგონება ერთ-ერთ სურათთან დაკავშირებით.



საბჭოთა კავშირის დროს (1962 წ. იყო) დარეკეს თბილისიდან მახარაძეში - „ფედერაციული გერმანიიდან კორესპონდენტები ჩამოდიან და მაღალ დონეზე მიიღეთო“. ასეთ შემთხვევაში მამაჩემს ეძახდნენ - მას საოცარი უნარი ჰქონდა ინსცენირების, მოგონების, ორგანიზაციის. მამამ მოიფიქრა ქართული ქორწილის ინსცენირება გაეკეთებინა ბუნებაში. ანასეულში, გურიის ულამაზეს კუთხეში, მოაწყვეს ასეთი სანახაობა: ნამდვილი ახალდაქო-

გ. სალუქვაძის მიერ 1950-1985 ნლებში
აღდგენილი
ქართული ცეკვების ავტორისეული
მოკლე ანოტაციური მიმოხილვა

„ფერხული - ფარცაკუკუ“

„ფერხული - ფარცაკუკუ“ გამარჯვებულ გურულ მეომართა ცეკვაა, ის შედგება ორი ნაწილისგან. ცეკვის პირველი ნახევარი, ანუ „ადაჯიო“, გურული ფერხულია, მეორე ნაწილი „ფარცაკუკუ“ კი ქალ-ვაჟთა მხიარულებისა და აღტაცების გამომხატველია, რომელიც საზეიმო ფინალური გასვლით მთავრდება.

ამ ხალხმრავალ, მასობრივ ცეკვაში ხშირად 70-80 შემსრულებელი მონაწილეობს. სურათი თავიდან ბოლომდე საცეკვაო ტემპის სიმღერებით და ორი დოლის აკომპანიმენტით სრულდება, ამათგან ერთ დოლზე უკრავს წამყვანი მოცეკვავე, მეორე დოლზე კი წყვეტილ მომენტებში ცეკვის მუსიკალური თანხლების მეზოლე, ცეკვის ორთავე ნახევარში ვაჟუბთან ერთად ქალებიც მონაწილეობენ, სასურველია ქალ-ვაჟთა რაოდენობა ტოლი იყოს.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, რუსთაველი ის პრემიის ლაურეატმა პ-ნმა ი. სუხიშვილმა ჯერ კიდევ 1951 წელს აღნიშნა, რომ ”გ. სალუქვაძის მიერ დადგმული “ფერხული- ფარცაკუკუ“ უეჭველად შევა ახალ ფურცლად ქართულ საბჭოთა ქორეოგრაფიაში“ - თ.

„კალმახობა“

1950-1954 ნლებში გურიაში ზეპირსიტყვიერი და ქორეოგრაფიულ ფოლკლორზე დაყდნობით მოპოვებული მასალით შეიქმნა შრომის პროცესის (თევზაობის) ამსახველი სარიტუალო ცეკვა „კალმახობა“. გადმოცემით ამ ცეკვას „ფერისცვალების“ სადღესასწაულო დღეებში ასრულებდნენ.

აღნიშნული ცეკვის თაობაზე თავის დროზე დადებითი შეფასება გამოსთვეს ქართული ქორეოგრაფიის სპეციალისტებმა. მაგალითად, საქართველოს სახალხო არტისტმა, ხელოვნებათ - მცოდნეობის დოქტორმა ლ. გვარამაძემ, ცნობილმა კომპოზიტორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა, პროფესორმა შ. მშველიძემ და სხვებმა.



„ფუნდრუკი“

„ფუნდრუკი“ ძელი ქართული, ქალ-ვაჟთა მასობრივი ცეკვაა. იგი აღდგენის შემდეგ პირველად 1961 წელს შესრულდა საქართველოს ხალხური თვითმოქმედების XII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. ყველა სხვა ქართული ცეკვისგან განსხვავებით აქ ცნობილ, ძირითად მოძრაობებთან ერთად გამოყენებულია სპორტიულ-მუშაითური ილეთები: თავყირა „სალტო“ ხტომები, ხელებზე დაყრდნობით ტანამართული და „ოჩოფეხებიანი“ სელები, მხედართა იმიტირებული მოძრაობები და სხვა.

საცეკვაო კოსტიუმები და მამაკაცთა მო-



გ. სალუქაძის მოგიეროთი ლექსი და ფოლქლორული ჩანაწერი

გიორგი სალუქვაძის ბიბლიოთეკაში სამი ათასამდე წიგნია. იგი მოყვარული იყო ყველა ქვეყნის ლიტერატურის, პოეზიის, მხატვრობის, მუსიკის და სხვათა. პატარაობიდანვე ლექსებს წერდა, ავტორია ათეული ლექსისა. საილუსტრაციოდ მოგვყავს მისი რამდენიმე ლექსი.

სიმღერების წევეულება (ვარლამ სიმონიშვილის ხსოვნას)

სიზმრად ვნახე, ჩვენს სიმღერებს
გაეშალათ სუფრა ვრცელი,
მოვიხიბლე, ვერ დავმალე
აღტაცება მე გულწრფელი.
თვალწინ მიდგას მათი ხმები,
სიკისისე, სიტყვა-თქმები,
ვით გიყვარდეს მხარე, ხალხი,
კუთხე ბევრჯერ ნაწამები.
კუთხე, რომელს ალამაზებს,
სუფსა, ბუუყი, ნატანები,
იადონის ნაგალობი,
გულის ჩამონატანები.
„ჩვენ მშვიდობა“ სავსე თასით,
„მასპინძელსა მხიარულსა“
„მოვედ, ვსვათო სასურველი“
უხარებდა სულს და გულსა.
აქ „შვიდკაცა“ კოპით ხელში,
მგოსანს ანვდის ჩხავრის ლვინოს
„მე რუსთველი“ არ ვარ მსმელი,
ლექსით უნდა მოვილხინო.
პურმარილის მოტრფიალე,
„ხელხვავი“ და „ვახტანგური“
მკლავგაყრილი ყანწებს სცლიან
ვერ იჯერეს კოცნით გული.
„ალიფაშა“ ქისით ხელში,
ოქროს ანვდის „ხასანბეგურს“.
„ადილა“ კი მათ შესცერის,

ეტყობა, რომ სიმღერა სურს.
როცა ხომლი ამოვიდა,
და მიწყნარდა სხვა ხმაური,
გაოფლილი შეუერთდა
მათ „ელესა“ და „ნადური“
მიეგება „ალილო“ და
ტანწერნეტა „ინდი მინდი“,
ლვინო ასვეს, ჩაალუკმეს,
ლვეზლით, ხაპით და სიმინდით.
უკვე გამოშუშებულა
„რამაშა“ და „აბადელი“
„ჩარირამას“ ანიშნებენ –
ნუ გიყვარსო სიტყვა გრძელი.
„დილა არის ცა-ლაუვარდი“
„ნათლიდედა“ ნაბავს თვალებს,
„ძილისპირს“ და „ლატარიას“
ტანზე უჩენს ცეცხლის ალებს.
„შავ შაშვს“ მღერის თითონ შაშვი,
„ორირას“ კი სხვები ყველა.
ცხენს კაზმავს და შამფურსა თლის
„მაყრული“ და „დელიდელა“.
ადგა „მრავალფამიერი“
და მიმართა ხალხს ლხენითა,
აღლეგრძელა მან ვარლამი
„ნამოერული“ ლილინითა.
ასე უთხრა „გახსოვს ტურფავ“
რომ გვიმღერდი „იავნანას“,
„პატარა საყვარელოო“,
ბევრი იყოს შენისთანა.
მოუწონეს ნარმოთქმული,
ყველამ გულით გაიხარა,
ერთხმად სჭექეს, ჩვენთან არის,
არ მოკვდება, არა არა! მე კი,
იმათ შემხედვარეს,
რაღა ბევრი გავაგრძელო,
გამეღვიძა, ეხლაც მესმის
მათი ტკბილი „სადღეგრძელო“.

აღნიშნული დრო



გ. სალუქვაძე. 1954 წ.

1. დასაცლეთ საქართველოს სახელმწიფო
ეთნოგრაფიული ანსანბლი კ. პაჭკორიას
ხელმძღვანელობით. მარცხნიდან პირველ რივში
მეოთხე თ. ფარცვანია, მარცხნიდან მეორერივში
მეორე გ. სალუქვაძე. 1938 წ.



2. ცეკვა “სამშობლოსათვის”, შუაში
გიორგი სალუქვაძე და გიორგი (ბუბუტი)
დარახველიდე. 1938 წელი.



1.2. გ.სალუქვაძე 1939 წ.
3. გ.სალუქვაძე დიდი სამამულო ომის დროს ბატარეის უფროსი 1941 წელი



ცეკვა „ფერხული-ფარცაკუკუს“ ერთ-ერთი პირველი შესრულების ფრანგშენტები. 1951 წელი




ცეკვა "ფერხული-ფარცაკუკუს" ერთ-ერთი პირველი შესრულების
ფრანგშენტები. დოლით საქართველოს დამსახურებული არტისტი
გახტანგ მეგრელაძე. 1951 წელი




1. თეატრის ცნობილი მხატვარი ფარნაოზ ლაპიაშვილი და გიორგი სალუქვაძე ერთ-ერთი ცეკვის კოსტიუმის ესკიზის განხილვის დროს. 1953 წელი.

2. დავით გურამიშვილის დაპადებიდან 250 წლის თავთან დაკავშირებულ შეხვედრაზე საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში. ცენტრში აზერბაიჯანელი საბჭოთა პოეტი და საზოგადო მოღვაწე სამედ ვურლუნი, მარცხნივ გ. სალუქვაძე. 1954 წელი.

3. შეხვედრა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებთან, თბილისში. პირველ რიგში მარცხნიდან მედეა ჩახავა, ემანუელ აფხაძე, ნიუა ლომინაძე. მეორე რიგში ცენტრში გ. სალუქვაძე. 1954 წელი.



ქ.მახარაძის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ცენტრში ლოტბარი ვლ.ერქომაიშვილი, ქორეოგრაფი გ.სალუქვაძე. 1954 წ.



1. ბურუჟესის ქვესადგური;
 2. იმ მილის ნინ, რომელშიც გიორგი გავიდა 1957 წ.;
 3. გ.სალუქევაძე ბურუჟესის თანამშრომლებთან;
 4. ბურუჟესი, რუსთაველის 800 ნლის იუბილესთან დაკავშირებით შექმნილი მედალიონი, 1967 წ.



1



2



3



4

1. სურათზე მარჯვნიდან: ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი, თენგიზ სუხიშვილი, გ.სალუქვაძესთან სტუმრობის დროს. სურათს აწერია: "ჩემს საყვარელ კოლეგას გიორგი სალუქვაძეს, ილიკო სუხიშვილისაგან". 1964 წ.

2. სურათზე მარცხნიდან: შ. ლორთქიფანიძე, ნ. რამიშვილი, გ.სალუქვაძე, ი. სუხიშვილი, მ. შავიშვილი, თ. სუხიშვილი. მეორე რიგში: ა. ბაბილონძე, ო. მხეიძე. ჩოხატაური, 1964 წ.;

3. ინგლისელი ქართველობრივი დევიდ მარშალ ლონგი, გიორგი სალუქვაძე და მიხეილ შავიშვილი. ქ. მახარაძე, 1963 წ.;

4. ნოდარ დუმბაძე (იმ დროს უკრნალ "ნიანგის" მთ. რედაქტორი), ალექსანდრე თოიძე ქ. მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი და გ.სალუქვაძე. 1966 წ. ბუუჟესი.



1,2,3. ცეკვა "ფუნდრუკის", ფრანგმენტები. 1961 წ.
4. ჩაცმულობის ნიმუში, რომელიც გამოყენებული იქნა ცეკვა "ფუნდრუკში"



ცეკვა "კალმახობის" ფრანგშენტები 1965 წელი



* ზემოდ, მესხური ცეკვები "ვარძიობა-ძიობასა" და "იღუმალა" 1966-67 წწ.

* ქვემოდ, ახალციხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრები თბილისში, პირველ რესპუბლიკურ ფესტივალში გამარჯვების შემდეგ. შუაში ანსამბლის ქორეოგრაფი გ. სალუქვაზე. 1967 წ.



1



2



3

1. სურათზე მარჯვნიდან: ჭანო ბაგრატიონი, გიორგი სალუქვაძე, ამირან მექვაბიშვილი. 1971 წ.;
2. გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე და გიორგი სალუქვაძე. 1979 წ.;
3. ვლადიმერ ერქომაიშვილი და გიორგი სალუქვაძე. 1969 წ.



1,2,3. ანსამბლ "იადონის" გასტროლები ბელორუსიაში ქ. მინსკში. სურათზე გიორგი და თამარ სალუქვაძეები ბელორუსიის
სახელმწიფო ანსამბლთან ერთად. 1981 წ.;

4. ანსამბლი "იადონი" ესტონეთში გასტროლების დროს.

1



1. შეხვედრა მ. გორბაჩივთან და
ე. შევარდნაძესთან, მახარაძის რაიონის სოფ.
ბახვში, წინა პლანზე მარჯვნივ გ. სალუქვაძე,
შუაში მახარაძის რაიონის პირველი მდივანი ო.
თენიეშვილი. 1984 წელი.

2



2. გიორგი სალუქვაძე და ვასილ ჩიგოგიძე
მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობთა
შორის. 1986 წელი.

დანართი

გ. სალუქვაძის მიერ აღდგენილი და შექმნილი ცეკვების: "ფერხული - ფარცაჩუას", "ჟალმახობის", "ფენტრუების" აღწერილობა და "გრაფიკული ნახატები."

ქალების ჩაქურა, ვაჟის ჩაქურის მსგავსად განყობილია ოქროსფერი სირმით. განსხვავება კი იმაშია, რომ არ უკეთდება სამასრეები. კაბის დაბლა კალთები მოხატულია ყვავილოვანი



ცეკვა “ფერხული -ფარცაკუკუს” ჩაქურის ესკიზი, რომელიც გ.სალუქვაძის მინაცემების მიხედვით შეასრულა თეატრის ცნობილიმა ხატვრმა ფარნაოზ ლაპიაშვილმა.

ორნამენტებით და ქართული კაბისაგან განსხვავებით, არ უკეთდება ნინძაფარი.


ქალებს თავზე ახურავთ იმავე ქსოვილის ან იმავე ფერის აბრეშუმის ყაბალახები ოქროს ფუნჯებით. ყაბალახის ტოტების შიდა ბოლოზე, 15 - 20 სანტიმეტრის სიგრძეზე დაკერებული აქვს შინდისფერი ან იისფერი სარჩულები. ქალებს უკეთიათ ორ-ორი ცალი გრძელი ნაწილი, აცვიათ ოქროსფერი ან ვერცხლისფერი ტყავის დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები.

ვაჟებს აცვიათ ლურჯი ფერის თხელი, შალის ჩაქურები, განყობილი ოქროს სირმებით, კონტრასტული ფერის გულისპირებით და სამასრეებით. თავზე ახურავთ შინდისფერი შალის მოსირმული ყაბალახები ოქროსფერი ფორჩებით. აქაც ყაბალახის ტოტებს ბოლოებში შიგნიდან 15 - 20 სანტიმეტრზე გამოკერებული უნდა ჰქონდეს იისფერი აბრეშუმის სარჩულები. ვაჟებს ნელზე, ჩაქურის ზემოდან, არტყიათ შინდისფერი ატლასის განიერი სარტყელები, ე.ნ. „სამყადები“. მათ ასეთი სახელნოდება იმიტომ აქვთ, რომ ნელზე უნდა შემოერტყას სამჯერადად და მერე უნდა გადმოეშვას მისი ბოლო, რომელიც მთავრდება მისივე ფერის ფორჩით. „სამყადის“ ჩამოშვებული ბოლო - მოცეკვავე ვაჟს მარჯვენა თეძოზე უნდა ჰქონდეს. „ფარცაკუკუს“ მთავარ წამყვან მეღოლე-მოცეკვავე სოლისტს უნდა ეცვას თეთრი თივთიკის ჩაქურა. მისი ყაბალახი მთლიანად უნდა იყოს შეკერილი ოქროსფერი ნაჭრისაგან და გაუკეთდეს ოქროთი მოვარაყებული „ფუნჯი“.*


მოცეკვავე ვაჟებს „სამყადზე“ შემოკრული აქვთ ფერადი თხელი ტყავისაგან („მეში“) ნაკეთები „ბელყაში“ ე.ი განიერი ორფენა სარტყელი, რომელიც აღჭურვილია საომარი მნიშ-

*ცეკვის აღწერა, ჩანახატები და "გრაფიკული ნახაზები" შესრულებულია გ.სალუქვაძის მიერ.

ამ მოძრაობის მსვლელობის დროს ცენტრალური სამი სართული დაბლა ჩამოვა და ცენტრში ქმნიან 12-კაციან მჭიდრო შეკრულ ცრეს. მოცეკვავეთა განლაგებისა და წრეების გახსნის წინა მომენტის სურათი სცენის ზედხედში (იხ.ნახ. №8-ზე).



ქალები - მალლა ანეული ჩაკიდებული ხელებით, ვაჟები - მხარგადახვეულები უკუს-ვლის მარტივი ილეთით ნელ-ნელა იხევენ უკან და გახსნის შემდეგ მოცეკვავენი სცენაზე გან-ლაგდებიან ლია რკალზე: წინა რიგში - ქალები, მათ უკან კი - ვაჟები. (იხ. ნახ. №9).



ცეკვა „ფარცაკუკუს“ შემადგენელი ცალკეული და ჯგუფური ცეკვების მოძრაობათა აღწერა და მათი ნახაზები.

I. მოცეკვავე ვაჟის სოლო. ეთმობა 4-ჯერ რვა თვლა - ტაქტი.

პირველი რვა თვლიდან: 2 თვლა მწყრო-ბიდან გამოხტომა და მუხლეცეცილით 2 - თვლი-ანი ბრუნვა, თავს ზემოთ ხელების ანევით ორ-ჯერ ტაქტის შემოკვრა, დარჩენილ 6 თვლაზე მუხ-ლეცეცილი დავლა, მარჯვენა ხელი გამართული ზევით და წინ, მარცხენა ხელი დაბლა, უკან გამართული, თვლაზე ოთხი - ხელების მდება-რეობის შეცვლა.



№10

მესამე რვა: ჰაერგასმა, ოთხი თვლა - პირ-დაპირ, ოთხი თვლა - ბრუნვით საათის ისრის მიმართულებით ხელების ცვლით.

მეოთხე რვა: "ექვსი თვლა-ბუქნებით, მოკაუჭებული ხელით, "შვიდ - რვაზე" - გადახ-ტომა ადგილზე. (იხ. ნახ. №11).

მეორე რვა: ხე-ლების მდებარეობის ცვლა და ქუსლური დავლით, მხარის მალ-ლა მოკაუჭებული მა-რჯვენა ხელით და გამართული მარც-ხენა ხელით ექვსი თვლის შემდეგ მარ-ჯვენა ფეხზე საათის ისრით საწინააღმდე-გო მიმართულების ტრიალით ცენტრში შემოსვლა. (იხ. ნახ. №10).

გურული "ფერხული-ფარცაკუკუ"
აღდგენილი გიორგი სალუქვაძის მიერ.

მოძრავად - ენერგოულად

Musical score for three voices (Soprano, Alto, Bass) in common time, key signature of one flat. The vocal parts are written in staff notation with lyrics below them. The piano part is indicated by a treble clef and a bass clef. Measure 1 starts with a piano dynamic. Measure 2 begins with a vocal entry for Soprano and Alto, followed by a piano section. Measures 3-4 show a vocal entry for Bass. The vocal parts consist of eighth and sixteenth note patterns. The piano part features eighth-note chords.

(მონაკვეთი რეპრიზიდან რეპრიზამდე
 მეორდება ეჭვჯერ)

Musical score for three voices (Soprano, Alto, Bass) in common time, key signature of one flat. The vocal parts are written in staff notation with lyrics below them. The piano part is indicated by a treble clef and a bass clef. Measure 3 starts with a piano dynamic. Measure 4 begins with a vocal entry for Soprano and Alto, followed by a piano section. Measures 5-6 show a vocal entry for Bass. The vocal parts consist of eighth and sixteenth note patterns. The piano part features eighth-note chords.

გ. სალუქვაძის ჩანაწერებიდან
ცეკვა „კალმახობის“ შესახებ



19 აგვისტო (ძველი სტილით 6 აგვისტო) საეკლესიო დღესასწაულია, სახელნოდებით „ფერცვალობა“ (ფერისცვალება). ძველი ჩვეულების შესაბამისად ამ დღისათვის სუფრა აუცილებლივ თევზის კერძით უნდა დამშვენებულიყო. ცეკვების აღსადგენად ძველი წერილობითი მასალების ძებნისას, ბათუმის ცენტრალურ საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე ცნობილი ისტორიკოსის, მკლევრის დიმიტრი ყიფიანის წიგნი „მოგზაურობის შთაბეჭდილებანი“ „Путешествие по Гурии и Адхарии“, დანერილი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

როგორც შრომის სახელნოდება მიგვანიშნებს, დ. ყიფიანს 1876 წელს უმოგზაურია გურიასა და აჭარაში. იქაური მატერიალური კულტურის ძეგლების გაცნობისას, მოუნახულებია გურიის იმდროინდელი, შედარებით მაღალი სასულიერო დატვირთვის მქონე სოფელი ბახვი, სადაც ფერისცვალების წინა დღეს, 18 აგვისტოს, სოფლის სადღესასწაულო გართობის დროს, ეკლესიის გალავანში უნახავს თევზის კულტთან დაკავშირებული ხალხური სანახაობა. ერთ მხარეს დამწკრივებულა რამდენიმე ქალი, მათ პირდაპირ, სახით ქალებისაკენ მწკრივში დამდგარან ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებიც, თითქოს და მეთევზებები იყვნენ, მიუცეკვებდენ ახლოს ქალებს და იმიტირებული მოძრაობით თითქოს თავზე აცვამდნენ გაშლილ სათევზაო ბადეს. ქალები ამის შემდეგ ინყებდნენ ტანის რხევასა და ფართხალს.

მსგავსი ნაამბობი აღმოჩნდა ხელოვნების დამსახურებული მოღვანის ვარლამ სიმონიშვილის არქივში, სადაც ვკითხულობთ, რომ გურიაში არსებობდა ხალხური გასართობი „კალმახური“. კაცები ქალებს თავზე ვითომ პატეს გადააცმევდნენ, ქალები ცდილობდენ მოეშორებინათ ბადე. ამ ორი მინიშნების შემდეგ



ცეკვა "კალმახობის" ქალის კოსტიუმის
ესკიზი შესრულებული
გიორგი სალუქაძის მიერ.

რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველად შესრულდა ცეკვა "კალმახობა", რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო. აღნიშნულ ცეკვასთან დაკავშირებით მრავლად იყო დადგებითი სარეცენზიონი წერილები. მაგ. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის ი.ახვლედიანის რეცენზია. *

ასევე ქართული საბალეტო ხელოვნების ოსტატის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ლილი გვარამაძის წერილი, რომელიც თავის შეფასებაში ასე წერდა:

"კალმახობი" ს სახით ხელოვნების შესანიშნავი ნანარმოები შეიქმნა. ეტიუდი ემყარება ნამდვილ ქართულ საცეკვაო ფოლკლორს, ცეკ-

ვის ნახაზი თავისებური და ორიგინალურია. განსაკუთრებით ქალების სვლა, მოძრაობა მათი ხელებისა, ეს ერთხელ კიდევ მოგვაგონებს დამდგმელის შემოქმედებით ფანტაზიასა და გამომგონებლობას, რომელმაც აიღო რა ქართული ეროვნული ტანსაცმლის უაღრესად ტიპური შტრიხები, მოახდინა მათი სტილიზაცია, შექმნა მეტად ფერადოვანი ორიგინალური სასცენო კოსტიუმები, უნდა მივესალმოთ ამ ნოვატორულ ძიებასა და მის შედეგად მოპოვებულ საუნჯეს".*




ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის კომიპლექსური კვლევის სამეცნიერო ცენტრის ქორეოლოგის სექტორის თანამშრომლების პროფესორების რ. ჭანიშვილსა და ბ. სვანიძის 2004 წლის სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც მათ მიუძღვნეს გურიის მხარეში ქორეოლოგის შესწავლას, ვკითხულობთ: "ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვანის, დამსახურებული ინუინრის, გამოჩენილი ხელოვანისა და დიდი მამულიშვილის გიორგი სალუქაძის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა მის არამარტო პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებს, არამედ მისი თეორიული და კვლევითი მუშაობის შედეგად მოძიებულ მასალებსაც". ნაშრომში ვკითხულობთ: „გიორგი სალუქაძის სახელთანაა დაკავშირებული გურიაში მივიწყებული ცეკვების: "ფერ-

* ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ N1, 1955 წ. გვ. 8, 9, 10.


* ურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ N2, 1955 წ. გვ. 55

**მე-12 სტროფი - ბადის სროლა ბრუნით
ცენტრის მიმართულებით კალმახების უკან,**
15-16 სათვალავზე. (იხ. ნახ. №28).



№28

**მე-12 სტროფის გადაძახილზე ბადის
ამოლება. (იხ. ნახ. №29).**




№29

მე - 13 სტროფი:


აი, ხედავ, სათითაოდ
შიგ ბადეში გაეხვია,
სისწრაფეს და სიმამაცეს
ყველაფერი შეუძლია.

**დაჭერილი კალმახების მირეკვა ნახევარ
რკალზე. 18 თვლა. (იხ. ნახ. №30).**



№30

**მე - 13 სტროფის გადაძახილის ოთხ
თვლა-ზე მებადურები და კალმახები ცვლიან
აღგილებს. (იხ. ნახ. №31).**



№31

მე - 14 სტროფი:

ეს ვინ არის, რომ მოცურავს,
მარტოდ-მარტო დარჩენილი?
შავსხალაა, ორაგული,
სამამაცოდ გაჩენილი.

ტექსტი და მუსიკა
გიორგი სალუქვაძის

(ხიდურა ცეკვისათვის „ დალმახობა ”)

მოძრავად


ცეკვა “ფუნდოუკი”



ცეკვა “ფუნდოუკის” ჩაქურის ესკიზი.
შესრულებული გ. სალუქვაძის მიერ.

ცეკვის დასაწყისი. 33 - 62 ტაქტები:

ქალ-ვაჟები ცეკვას იწყებენ მარჯვენა ბოლო კულისიდან ქუსლურა რხევითი დავლით. ქალთა შკლავები ფრესკულ მდგომარეობაშია. მარჯვენა მკლავი - მაღლა, ნებით შიგნით; მარცხენა - მკერდის სიმაღლეზე, ნებით ზევით. ვაჟებს მარცხენა მკლავი წინ და თავის სიმაღლეზე უჭირავთ, ნები სვლის მიმართულებით, ხელის მტევანი - უკან გადმოწეულად, მარჯვენა კი ნელზე აქვთ შემოდგმული. წყვილები ცეკვაში შედიან ყოველი 2 ტაქტის შემდეგ და მოძრაობენ საათის ისრის სანინაალმდეგო მიმართულებით ნრიულად. (იხ. ნახ. №1).



63 - 64 ტაქტები:


ქალები ასრულებენ მარცხნისაკენ გვერდზე გადასვლით ბრუნს. ბრუნის დროს მარცხენა მკლავი მკერდდახურულია, მარჯვენა - უკან. ვაჟები ასრულებენ მარჯვნისაკენ გვერდზე გადასვლით ბრუნს. მარჯვენა მკლავი მკერდდახურულია, მარცხენა - უკან. (იხ. ნახ. №2).

„ଓৰ্বণৰ উপৰ ”

მშვიდად

Musical score for orchestra and choir, page 10, measures 9-12. The score consists of three staves: Violin 1 (top), Violin 2 (middle), and Bassoon (bottom). The vocal parts are: Alto 1, Alto 2, Tenor 1, Tenor 2, Bass 1, Bass 2, Bass 3, and Bass 4. The vocal parts sing the same lyrics in unison. The instrumentation includes strings (Violins, Violas, Cellos, Double Bass) and woodwind (Bassoon). The vocal parts sing the same lyrics in unison. The instrumentation includes strings (Violins, Violas, Cellos, Double Bass) and woodwind (Bassoon).

A musical score for piano, page 17, featuring three staves of music. The top staff uses a treble clef, the middle staff a treble clef, and the bottom staff a bass clef. The key signature is A major (no sharps or flats). The time signature changes between common time (indicated by '4') and 3/4. The dynamics are marked as 'mf' (mezzo-forte), 'p' (piano), and 'pp' (pianissimo). The lyrics, written in Georgian, are: 'ჩემი ვაკე ნახ უგ' (Chemi vake naх uг), 'გეგმა დე ნი ს' (Gegma de ni s), 'არ არ არ არ' (ar ar ar), and 'ო' (o). The score includes measure numbers 17, 18, and 19.



გ. სალუქვაძე "თბილისობის ზემოზე" 1985 წ.
ფოტო ვ. გიგილაშვილის